– მამუკა ჯუღელთან დღემდე მაქვს ურთიერთობა. მამუკას ჰყავდა მოთამაშეები, მე კი კავშირები მქონდა და არაერთ მოთამაშეს გაუშუქალებო გზა უკრაინულ და რუსულ კლუბებში. უფრო სწორად, ჩვენ რეკომენდაციას ვუწვევდით, დანარჩენი კი მოთამაშეებზე იყო დამოკიდებული – მათ ნაცვლად ჩვენ ხომ არ ვითამაშებდით?! მაგალითი გნებავთ? კანკავა, კვიციანი და სხვები. უკრაინაში ჯაბამ ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი, როგორც ფეხბურთელმა და როგორც პიროვნებამ.

– ჯუღელთან აღარ თანამშრომლობთ?

– მამუკა ისევე აგრძელებს საქმიანობას, მე კი სხვა სფეროში გადავიხატე. ერთად აღარ ვმუშაობთ, მაგრამ კავშირი ისევე გვაქვს, ვხვდებით ერთმანეთს. მე ასეთი ხასიათი მაქვს – წარსულს კედლებს არ ვუშენებ, ყველასთან ვინარჩუნებ ურთიერთობას. როგორც შეგვეძლება, დავეხმარებოთ ერთმანეთს. ეს ჩვენი ცხოვრებაა!

– უნიკალური ფეხბურთელი ხართ – ვითამაშიათ ოთხი სხვადასხვა ნაკრების შემადგენლობაში!

– “რა ვკნა, რომ ბედი არ მცვალავს?” (იცინის). გარემოებებმა მოიტანა, დრო იყო ისეთი. სსრკ-ის ნაკრების შემდეგ დსთ-ის ნაკრების შემადგენლობაში ვითამაშე კუროპის 1992 წლის ჩემპიონატზე, მერე, კიევის “დინამოში” ვოფნისას, უკრაინის ნაკრებში თამაში მოხერხდა და ერთი მატჩი ვითამაშე. თუმცა, ამხანაგური, არაოფიციალური შეხვედრა იყო და ამის გამო არ დამიკარგავს უფლება, ოფიციალურ შეხვედრებში რუსეთის ნაკრების სახელით გამოვსულიყო.

– გიფიქრიათ, რა შეიძლებაოდა მომხდარიყო, კიევში გადაბარებების ნაცვლად, საქართველოში რომ დარჩენილიყავით?

– სსრკ-ის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ვიყავი, ერთი თვე იტალიურ შეკრებაზე გავატარეთ, მერე აშშ-ში გავემგზავრეთ. ნაკრების მაშინდელმა თავაკცმა ლობანოვსკიმ პირდაპირ მითხრა, საქართველოს უკვე გადაწყვეტილი აქვს ეროვნულ ჩემპიონატს გამართვა. თუ გინდა, როგორც ფეხბურთელი, გაიზარდო და 1990 წლის მუნდიალზე ითამაშო, კიევში წამოდი... მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. მოვეთაბიერე ჩემს ახლობლებს, ვუთხარი ნოდარ ახალკაცსაც, კახი ასათიანსაც და დავით ყიფიანსაც, რომ წასვლა მინდოდა...

– როდის ითამაშებენ ერთად ქართველი და აფხაზი ფეხბურთელები?

– ძალიან რთული კითხვაა, მიჭირს პასუხის გაცემა... ფაქტია, რომ დღეს ასეთი ვითარებაა... ახლახან აფხაზეთში არადიარებულ ქვეყნებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა და აფხაზეთის ნაკრების თამაშით გაკვირვებული დავიჩინე. კარგად ითამაშეს, ასე რომ, თანდათანობით ჩვენთანაც ვითარდება ფეხბურთი.

ლიმილის გულისე
კინოასოციაციები
ხელისუფლებაში მოხვედრა – „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“;
არჩევნებში მონაწილე პარტიები – „არჩევნებში გამოფენა“;
წინასაარჩევნო შეხვედრები – „სასტიკი რინგი“;
გამარჯვების მოლოდინი – „ტრავმა, სახელად – სურვილი“;
„ქართული ოცნება“ – „მარტოობის დღესასწაული“;
„ქართული ოცნების ყოფილი თანაბლოკელები – „დაკარგული სამოთხე“;
“თავისუფალი დემოკრატები“ – შუქვეტილი სიმღერა“;
რესპუბლიკელები – „მიდიოდა მატარებელი“;
ერთგული ფორუმი – „წარსული ზაფხული“;
ყოფილი მაჟორიტარები – „ქარ-წადებულნი“;
ნაც.მოძრაობა – „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“;
ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა – „წითელი ეშმაკუნები“;
ლტოლვილები – „სხვისი შვილები“;
დასაქმება – „სიყვარული ყველას უნდა“;
“გირჩი“ – „ჯაყოს ხიზნები“;
პენსიების ზრდა – „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“;
მომატებული ფასები მედიკამენტებზე – „როგორ მოვიპაროთ მილიონი“;
პოლიტ. პატიმრები – შურისძიება და კანონი;
სოც. დაუცველნი – „მაცივარში ვიდაც იჯდა“;
ყვითელი ავტობუსი – „მაგდანას ლურჯა“;
უმუშევრობა – „რეკორდი“;
აფხაზეთის მთავრობა თბილისში – „ფეხბურთი უბურთოდ“;
ბარიერის მიღმა პარტიები – „ქარ-წადებულნი“;
პატრიოტთა ალიანსი – „სამი კაკალი კონკიასათვის“;
ბურჯანაძე – „ტუტსი“;
ჩიორა თაქთაქიშვილი, ბოკუჩავა – „სამოთხის გვირგვინი“;
დალი ფანჯიკიძე – „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“;
მეჭიაური – „შესანიშნავი შეიდეგული“;
თბილისის მერი – ნარმანია – „დიდი მწვანე ველი“;
სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი – „გლახის ნამზობი“;
ირმა ნადირაშვილი – „კრახანა“;
გიორგი კვიციანი – „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“;
ეკა ბესელია – „უმიწარა მზე“;
გიგა ბოკერია – „კაცია-ადამიანი?!“;
ახალაიები – „ბედის ირონია, ანუ, გაამოთ“;
საკაშვილი და მხანი მისნი – „ალი ბაბა და 40 ყანად“;
ვანო მერაბიშვილი – „დიდოსტატის მარჯვენა“;
ლევან ბერძენიშვილი – „შაფერა, თეთრი ბიძი“;
ლეიბორისტები (ყოფილი და ახლანდელი) – „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“;
ჯონდი ბალათურია – „მარტოხელა მონადირე“;
მიხეილ სააკაშვილი – „ეს არის შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“;
შეგარდნაძე – „არ დაიჯერო, რომ აღარ ვარ“;
რატი შველია
ნაზი ნაზროზაშვილი

კლოდ კემულარია ლევილის სასაფლაოზე დაბრძანდა

ჟურნალისტი ლევილა კვირიკაშვილი სოციალურ ქსელში წერს:

„გარდაიცვალა ბატონი კლოდ კემულარია. ახლა მაცნობა ქალბატონმა მედეა თუშმალიშვილმა. ნათელში იყოს ბატონი კლოდის სული. იგი ლევილის სასაფლაოზე დაკრძალეს.

„მრცხვენია, რომ ქართულად ვერ ვსაუბრობ, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს. მე იმ ქართველ ემიგრანტებს მიეკუთვნები, რომლებიც 1920-1921 წლებში ბოლშევიკურ რევოლუციის საფრანგეთში წასვლით გაექცნენ. მთავარი ისაა, რომ ქართულად ვფიქრობ და ვაზროვნებ. წლების განმავლობაში საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტში ვმუშაობდი, ვიყავი საფრანგეთის ელჩი ვაეროში, მეკავა სხვა მაღალი თანამდებობები და სანამ ცოცხალი ვარ, ვეროპაში საქართველოს ინტერესების დასაცავად ვვალდებულ ვარ, რომ ქართულად ვწერ და ვსაუბრობ. მჯერა, რომ საქართველო მაღე გაძლიერდება და ვეროპაში კუთვნილ ადგილს დაიკავებს”, – ეს სიტყვები ბატონ კემულარიას ეკუთვნის”, – წერს კვირიკაშვილი.

კლოდ დე კემულარია დაიბადა პარიზში. მისი მშობლები საქართველოდან კომუნისტურ რევოლუციის გაქცევის შემდეგ იმigrირებული კაცი გახლდათ – უნიკალური კომპოზიციული ნიჭი გააჩნდა, უმაღლესი ვილდის სოფლაგარი იყო. ჰქონდა ქარხნის მფლობელი და სხვა მრავალი სავაჭრო ობიექტი ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში, საზღვარგარეთიდან საუკეთესო ხარისხის საქონელი შემოჰქონდა და ქვემოქმედებითაც გამოირჩეოდა. გრიგოლის მეუღლე, ნინო (ნინუცა) ნიკოლაძე, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის და იყო. შეეძინათ სამი შვილი – ანეტა, სოფო და იოსებო. სოფო კემულარიას მშობლები და იოსებო, სოფო კემულარიის და ლევანის ბიძაშვილ-მამიდაშვილი იყვნენ, მაგრამ დროის უკუღმართობით ერთმანეთი არასოდეს უნახავთ.

გრიგოლსა და ნინოს ჰქონდათ იმის სა-

შუალება, რომ შვილები არაფერში შეეზღუდათ, იქნებოდა ეს სწავლა-განათლება თუ საერთო განვითარება. ხშირად მოგზაურობდნენ. 1889 წელს პარიზში დაესწრნენ ეიფელის კოშკის გახსნას და მსოფლიო გამოფენაშიც მიიღეს მონაწილეობა.

კემულარიების ოჯახმა ვაჟი ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი ბელგიაში, იტალიასა და საფრანგეთში გაგზავნა სწავლებლად. იოსებს მეუღლე ფრანგი ჰყავდა, თუმცა ზუგდიდში გაიცნო თავის დასთან და ქართველ სიძესთან სტუმრად მყოფი. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და მალე დაქორწინდნენ. იოსებმა და შარლოტამ ჯვარი აბასთუმანში დაიწერეს, საქართველოს განსაზღვრების შემდეგ კი ემიგრაციაში წავიდნენ და პარიზში დასახლდნენ. შემდგომში იოსებ კემულარიამ (1880-1957) ბორდოში გახსნა საკუთარი ბანკი და წარმატებული ბანკირი გახდა. დასაფლავებულია ლევილში.

კლოდ კემულარია ფრანგულ ყაიდაზე აღიზარდა, მაგრამ მამა ყოველთვის ჩააგონებდა, ქართველობა არ დავიწყებოდა. თავად თვლიდა, რომ ქართული გენიდან მდიდის მისი კომუნიკაბელურობა, მხიარული ხასიათი და იუმორი.

ძალიან ვრცელია კლოდ კემულარიას სახელმწიფო, საზოგადოებრივი და დიპლომატიური მოღვაწეობის ნუსხა. პროფესიით იურისტი იყო. დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და პოლიტიკური მეცნიერების თავისუფალი სკოლა. 1945 წელს დაინიშნა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კაბინეტის ატაშედ. 1945-1946 წლებში პოლ რეინოს (ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე) თანაშემწეა. 1957-1961 წლებში გაეროს გენდირექტორის, შვედი დოქტორის კაბინეტის წევრი გახდა. 1961 წლიდან იყო გაეროს სანფორმაციო სამსახურის დირექტორი ჟენევაში. 1960-იანის შუა წლებში მონაკოს პრინც რენიეს მრჩეველია, 1960-იანების ბოლოს მან დააფუძნა ცნობილი ბანკი "PARIBA" და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შექმნა მისი ფილიალები, რითაც საფრან-

გეთის ეკონომიკის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა.

1980-იანი წლების დასაწყისში კლოდ კემულარია დაუბრუნდა სახელმწიფო სამსახურს. ის გახლდათ პრეზიდენტ მიტერანის ნდობით აღჭურვილი პირი და მომლაპარაკებელი არაბულ ქვეყნებთან. 1981 წელს მისი ძალისხმევით შეიქმნა სოციალისტთა გამარჯვებით დამფრთხალი არაბული კაპიტალის საფრანგეთიდან გადინება. მან მრავალი საგანგებო მისია განახორციელა აფრიკასა თუ ახალ კალედონიაში. მიტერანისტი, მაგრამ არა სოციალისტი (თავის პოლიტიკურ მრწამსს „ტრადიციონალისტურად“ მიიხსენებდა), კლოდ კემულარია არ მალავდა თავის აღტაცებას ყოფილი პრეზიდენტით, რომელიც დიდი ხნით ადრე იმ დროს ინფორმაციის მინისტრი, 1949 წელს აფრიკაში მოგზაურობისას გაიცნო.

კლოდ დე კემულარიას 60 წლის განმავლობაში ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო მაღალი თანამდებობა: იყო ფინანსური კომიტეტის დირექტორი ნაციონალურ ასამბლეაში, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი, რამდენიმე ბანკისა და პოლიტიკის დირექტორთა საბჭოს წევრი. პოლანდიაში საფრანგეთის ელჩობის შემდეგ, 1984-87 წლებში გახდა საფრანგეთის წარმომადგენელი ვაერო-ში, იყო ვაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი და თავისი წვლილი შეიტანა ირანსა და ერაყს შორის ცეცხლის შეწყვეტაში. 1987-1996 წლებში ფრანგული მდიდის ერთ-ერთი ვარსკვლავის, ფირმა NINA RICCI-ის დირექტორთა საბჭოს წევრია. დიპლომატიურმა კავშირებმა საერთაშორისო მასშტაბით, წააქეზა ჩამოყალიბებინა „მონაკოს“ კლუბი, სადაც გაწევრიანდა მსოფლიოს მრავალი ყოფილი და მოქმედი პოლიტიკოსი. „მონაკოს კლუბის“ ხმელთაშუა ზღვის საკითხების პოლიტიკური შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი, გაეროს საფრანგეთის ასოციაციისა და საერთაშორისო საბჭოს „მომართობა ვეროპისაკენ“ საპატიო წევრი, მრავალი ორდენისა და ჯილდოს კავალერი. 1979 წლიდან აუ-

ვანილია საფრანგეთის „საპატიო ლეგიონის“ რაინდის ხარისხში. 1988 წელს მიენიჭა „საპატიო ლეგიონის“ ოფიცრის წოდება.

2008 წელს კლოდ დე კემულარიამ გამოსცა თავისი მეშუარეობის „ცხოვრება გაშლილი ფრთებით“, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა. წიგნი XX საუკუნის 40-80-იანი წლების საერთაშორისო მოვლენებისა და მსოფლიო პოლიტიკის დრამა ანალიზის საფუძველს იძლევა. ავტორი მოვითხრობს თავის ბავშვობაზე, მისთვის უცნობ, მაგრამ საოცნებო სამშობლოზე, მშობლებზე, თავის ახალ სამშობლოზე, სადაც ფრთები გაშალა და უდიდეს წარმატებებს მიაღწია პოლიტიკურ კარიერაში. 2010 წელს, პრინცესა ვერონიკა მიურატის ხელშეწყობით მეშუარეობი ქართულ ენაზეც გამოიცა. წიგნის პრეზენტაციისთვის, ნოემბრის თვეში, საქართველოში კლოდ დე კემულარიაც ჩამოვიდა. სოხუმის უნივერსიტეტში გამართულ მიღებაზე ბატონმა კლოდმა განაცხადა „მრცხვენია, რომ ქართულად ვერ ვსაუბრობ, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს. მე იმ ქართველ ემიგრანტებს მიეკუთვნები, რომლებიც 1920-1921 წლებში ბოლშევიკურ რევოლუციის საფრანგეთში წასვლით გაექცნენ. მთავარი ისაა, რომ ქართულად ვფიქრობ და ვაზროვნებ. წლების განმავლობაში საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტში ვმუშაობდი, ვიყავი საფრანგეთის ელჩი ვაეროში, მეკავა სხვა მაღალი თანამდებობები და სანამ ცოცხალი ვარ, ვეროპაში საქართველოს ინტერესების დასაცავად ვვალდებულ ვარ, რომ ქართულად ვწერ და ვსაუბრობ. მჯერა, რომ საქართველო მაღე გაძლიერდება და ვეროპაში კუთვნილ ადგილს დაიკავებს”, – დასძინა დიპლომატმა.

კლოდ დე კემულარიას ელისეს მინდერეზე, ე. წ. შანზ-ლე-ნოზე აქვს ფეშენებელური ოფისი. ჰყავს მეუღლე – შანტალი, ქალიშვილი – ელისაბედი, შვილიშვილები – ელენორა, გრეგორი და ედვარდ-ტიერიელი.

ეს კასი პალა უნდა მოაშორონ განათლების სფეროს – რაჭომა არის მიუღებელი ჯაჯალაჰანს სწავლების მეთოდები

კინომცოდნე ბაჩო ოდიშარია სოციალურ ქსელში განათლების მინისტრის, ალექსანდრე ჯაჯალაჰანს განცხადებებს ეხმაურება, სადაც ის დაზვიადებისა და სახუმაროების მეთოდს აპროტესტებს:

“მოკლედ წინაზე მცირედით გამოვეხმაურე ამ უმეცარი კაცის ინიციატივებს და აღარ ვაპირებდი არაფრის თქმას, მაგრამ ამ ვიდეოს შემდეგ ვერ გავეჩერდი. მართალია, ეს არ შეეწყობს იდენტობის გაფორმებას სანამ პოსტსა, მაგრამ მერე, თუ საერთოდ აღარავინ შევიმჩნევთ, უკეთესი იქნება, ამის ბლუჟენს ლეგიტიმაცია არ უნდა მიეცეს.

ეს კაცი არის მავნებელი. სულ რომ თავი დავანებოთ მის მეტყველების აპარატს, ანდა რატომ უნდა დავანებოთ?! განათლების მინისტრი სკოლაში მოსწავლეებთან შეხვედრაზე საუბრობს ისე, თითქოს უბანში ძმაცაც ელაპარაკება: “კაიფი ეგაა”, “ტიპებს ასწავლეს” “ზაკაზი”, “ნიჩიფო სიბე”. ადამიანს ფორმალურიდან ამოვარდნა იმდენად უნდა, რომ ყველაზე ვულგარული ხერხებით ცდილობს განსხვავებულობის დაფიქსირებას. ორწუთიან საუბარში მოსწავლეების წინაშე, თან როცა ტელევიზია უდგეს, კაცი ბარბაროზებს და ჟარგონს ურახუნებს მხოლოდ იმიტომ, რომ შინაურულად შეხედონ მოსწავლეებს და ლიბერალურმა ნაწილმა თქვან მაგარი პროგრესული მინისტრიაო. არადა რა ნოვატორობაზე და პროგრესზეა საუბარი, ესაა ადამიანის დეკადანსი. ვასაგებია, მდარე შინაარსი სტილის დახმარებით გამართო, მაგრამ სტილი ხომ ცალკე დაცემაა და რასაც იდეურად აქვთ ამის გამო, საერთოდ, ცხიმიანის ჭამა უნდა აუკრძალონ.

ესე იგი, განათლების მინისტრი ამბობს

და მოუწოდებს ახალგაზრდებს, რომ მესხიერებას არ დაეკრდნენ. მათემატიკაში ფორმულების ცოდნა საჭირო არააო, ლექსის დახეობა ვის უნდა, დაეუგლავ და ნახავთ. როცა ნიღაშე ამბობდა აკადემიურ წრეებში ისტორიას როგორც ძველ ქრონიკებს, როგორც წარსულ მდიუმს ისე ასწავლიან, იმის გასაგებად თუ რა როგორ იყო უწინო, ამის წინააღმდეგ გამოდიოდა მრისხანებით, იმიტომ, რომ წარსული მხოლოდ წარსულის ცოდნის გამო არ უნდა ისწავლებოდეს. წარსული უნდა იქნეს გამოკვლეული კონცეპტების, იმ იდეების აღმოსაჩენად, რომლებიც აწმყოში დაგვეხმარებინან უკეთესი ცხოვრების წარმოებაში. ის, რომ აკადემიურმა სივრცემ სწორად სწავლების აღქმა და სტრუქტურა ჩაკლა, ცალსახაა. სწორედ ამით შთაგონებული ფუტო გადაიქცა ისტორიკოს ფილოსოფოსად, რომელმაც დღევანდელდობის პრობლემების ძიება წარსულში დაიწყო და აქედან აღმოცნდა მისი მონუმენტური ნაშრომები. იმიტომ, რომ გადაიქცა ისტორიის არქეოლოგად, ფუტომ შექმნა სწავლებები, რომელიც აღმოცნებულია წარსულ პრაქტიკებზე და გადათარგმნილია მომავლის გაუმჯობესების პრიზმაში. დღეს კი განათლების მინისტრი გამოდის და პროგრესულობის ქვეშ მალავს სპონტანურობის და წარმოსახვის უნარის წართმევის დისციპლინის დანერგვას.

რას ქვია, საჭირო არაა დასწავლა, რადგან გუგლი არსებობს?! როგორ უნდა მოხდეს ასეთ წესრიგში ცოცხალი დისკუსიის წარმოება? როგორ უნდა შეიქმნას ახალი ისტორია, თუ დავიწყებული იქნება ძველი? თუ მაგალითად დავივიწყებ ციხეში პატიმრების წამების ტრაგიკული გამოცდილება, როგორ უნდა

აღმოვფხვრათ ის მომავალში? თუ რომანტიკული პასაჟის წარმოქმნა გინდა კონკრეტულ დროს და ადგილას, ვაიფაის და სმარტფონის იმედზე უნდა იყო? ბარემ აქვე უარი ვთქვათ ხელთა წერაზე, რადგან კლავიატურა არსებობს. რამდენიმე წლის წინ უმბერტო ეკომ თავის შვილიშვილს წერილი მიწერა, სადაც მესხიერების როლზე ესაუბრებოდა და მოუწოდებდა მას და მის თაობას, რომ დაბახსოვრების პრაქტიკა ყველაფერზე წინ დაეყენებინათ, რადგან როდესაც დაბერდებოდნენ, ისე იგრძნობდნენ თავს, თითქოს ათასობით სიცოცხლე ეცხოვრათ, რომ ვატერლოოს ბრძოლებში მიეღოთ მონაწილეობა, რომ იულიუს კეისარის მკვლელობას შესწვებოდნენ.

მასხიერობა უმთავრესია. მესხიერება ისაა, რისგანაც ადამიანი შედგება. რისი ცოდნაც არ გაქვს, ის შენთვის არც მომხდარა. იმისთვის, რომ მაქსიმალურად ვიყოთ სიცოცხლეში, საჭიროა ცოდნა და რასაკვირველია, მათ შორის დასახეობრებული ცოდნა, იქნება ეს ლექსი თუ მითუმეტეს მათემატიკა, რომელიც სამყაროს შემეცნების ენაა. იმიტომ, ეს კაცი მალე უნდა მოაშორონ განათლების სფეროს და გააგრძელებინონ ისევე მენეჯერული ტრენინგები, რომლის მოსმენითაც სურვილისამებრ დაიტანჯავ თავს. აი, პარი პოტერის მეორე წიგნში რომ გილდეროი ლოკარტია, არაფრის აზრზე რომ არაა, უბრალოდ ექსცენტრიულად იქცევა და ფორმალური სწავლების მეთოდებს უარყოფს, იმიტომ რომ რაც არ იცის, იმას ვერც ასწავლის, ეგაა ჯაჯალაჰა. იმ განსხვავებით, რომ ამას ქარიზმაც არ აქვს. მოკლედ საშიში კაცია, რომელსაც განმანათლებლობასთან არანაირი კვეთა არ აქვს”.

ვენიციის წყლებში მოხვედრილმა ვეშაპამ რამდენიმე ბონდოლა კულით თამაშისას ამოაბრუნა

ვეშაპა, რომელიც კუდს ათამაშებდა, რამდენიმე ბონდოლა ჩაძირა. შედეგად, ერთ-ერთი მგზავრი წყალში დაიხრჩო.

ვენეცია რომ მნახველებს აოცებს თავისი განუმეორებლობით, ორიგინალობითა და ისტორიული ღირებულებების მქონე ნაგებობებითა და კომუნიკაციებით, ჯერ კიდევ საუკუნეების წინ იყო ცნობილი. მაგრამ იმან, რაც ამას წინააღმდეგ ვენეციაში, არა მხოლოდ ამ საოცრება-ქალაქის სტუმრები, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც კი დიდად გააოცა.

როგორც ჩანს, ვენეციაში ვეშაპი ჩრდილო ატლანტიკის მაგივრად, გიბრალტარის სრუტის გავლით, ხმელთაშუა ზღვაში აღმოჩნდა. ეს მეორე შემთხვევაა, როცა ვეშაპი ვენეციის ნაპირებთან მოხვდა.

პირველად ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს. იმ პერიოდში ადამიანებს საკვების მოძიება უჭირდათ, ამიტომ ვეშაპი მოკლეს და მისი ხორცი ადგილობრივმა მოსახლეობამ საკვებად გამოიყენა.

დღეს იმი წარსულს ჩაბარდა, ვეშაპის მოკვლა არავის უცდია, თუმცა, მან სერიოზული პრობლემები შექმნა. მისმა ძლიერმა, მოთამაშე კუდმა რამდენიმე ნავი ჩაძირა.

ეკოლოგებმა ვეშაპი აიძულეს, გემზე დამაგრებულ სპეციალურ ხმას გაჰყოლოდა. ვეშაპი გადარჩა. ის დიდ წყლებში გაიყვანეს, თუმცა, ვენეციაში მის სტუმრობას მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, დაიღუპა ერთი მგზავრი, რომელიც გადაბრუნებულ გონდოლაში იმყოფებოდა. ეს იყო იეჟუ ბალნიკი – ბიზნესმენი პოლონეთიდან.

ვენეციის მცხოვრებლებს ხშირად სტუმრობენ ზღვის ბინადრები. გასული წლის დასასრულს, “გრანდ კანალი” შესასვლელთან, სანტა-მარია დელ ფიორეს ტაძართან, დელფინების აგრესიული ქცევის გამო, სანაპირო დაცვა იძულებული გახდა, გადაეჩინათ ხუთი გონდოლერი, რომლებიც ზღვის ცხოველების თავდასხმის შედეგად, ნავიდან წყალში აღმოჩნდნენ.



როდესაც „ბულაჩუკა“ სირებნეში ჩასაღებებით ღალატისკენ იბილიკებს სვლას

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

უზნურების თარეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხები

ამ შემთხვევაში თავისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და, აქედან გამომდინარე, ყოველ-დღიურებით თბილისი მოსკოვთან მიმართებაში ნაცემურ მდგომარეობას უღაპარაკოდ იპიროვნებდა. თავის მხრივ, იგივე თბილისი, როგორც ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „დედაქალაქი“ (ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცენტრი) გახლდათ ამძრავი ძელი საამიერკავკასიო პოლიტიკისა (ისევე და ისევე ცენტრი), ხოლო „მომხმე“ რესპუბლიკათა – ახერბაიჯანისა და არმენეთის დედაქალაქები ბაქო და ერევანი „თბილისის ქვემდებარე“ ე. ი. ფაქტობრივად „ნაცემურ“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თავის მხრივ ბაქოც და ერევანიც ცენტრები იყვნენ მათ დაქვემდებარებული ადმინისტრაციებისთვის და ა. შ. ცენტრ-ნაცემური სტრუქტურა ამ მხრივ ძალიან ჰგავს „მატრიოსკას“, ანუ საბჭოთა მიმართულების სახეზე იყო პოლიტიკური „მატრიოსკის“ პრინციპი.

ბუნებრივია, ის მდგომარეობა, რომ ბაქო და ერევანი თბილისის „ქვემდებარებულნი“ მათში კი იწვევდა უკმაყოფილებას, მაგრამ ასეთი ფორაქის დასაცხრობათ, როგორც ახერბაიჯანს, ასევე არმენეთს ქართველთა მამულიდან მიუერთეს („მოუსამშობლოეს“) ოდითგან ქართული მხარეები.

თავის მხრივ, ამ ჩამონახვების გამო აღძრულ ქართველთა კანტი-კუნტ გულისწრომას საპირწონედ აუფრიადეს ის ილუზორული ხედი, თითქოს ახერბაიჯანიცა და არმენეთიც „საქართველოს მეთაურობით აყვავდებულნი“ იყვნენ თავიანთ პოლიტიკურ ცხოვრებას.

ეს ერთი; მეორეც: ბოლშევიკური ხმა-ბოღვის შესაბამისად, „მაღლე მთელს მსოფლიოში კომუნისმი გაიმარჯვებდა, სახელმწიფოთა საზღვრები წაიშლებოდა და რა მნიშვნელობა ჰქონდა თუ რომელ რესპუბლიკას გადაუნაწილებოდა ოდითგან ქართული მიწები, მით უმეტეს, კომუნისტები ხომ მძებნი არიან...“

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკები ხომ იყვნენ რუსებიც, ახერბაიჯანელებიც, არმენებიც, ისინიც კი ქადაგებდნენ ასე, მაგრამ, როგორც კი თვალს მოაცილებდი, მაშინვე, სადაც მოასწრებდნენ, თავიანთ საზღვრებში აქცევდნენ ქართულ მიწებს.

მხოლოდ ქართველი ბოლშევიკები ეკიდებოდნენ ამ საკითხს გულარხინად, რეგულარულ წინგაუხედაობით და მათ თვალწინ ნიავედებოდა წინაპართა სისხლით მორწყული მამული (სხვათა შორის (უნდა გავიმეორო), „ქართველი“ ბოლშევიკებისგან არაფრით არ განსხვავდებიან „ქართველი“ დემოკრატები, ის კი არადა, მათი ქართველთმოდულეობა და უჭკუო კოსმოპოლიტიზმი უსწრებს კიდევ ხანდახან მას).

ამრიგად, თბილისი იმ დროისათვის თავისი ნამდვილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, იდეოლოგიური, კულტურული და ა. შ. ფუნქციით, კი აღვნიშნე, მაგრამ ამასაც ხმადაღდა ვიმეორებ, წარმოადგენდა ამიერკავკასიის ფედერაციის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის პროლეტარიატის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრს. ის არ გახლდათ ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მარაღიულყოფის მადუღაბელები სატანტო, მაგრამ პოლიტიკურ ცრუმომარბებში გაუთვითცნობიერებულ საზოგადოებაში ის ამიერკავკასიის ფედერაციაში შემოსული „მომხმე“ რესპუბლიკების „ზემდგომად“ განიხილებოდა, დაიხ, ეს ქმნიდა ილუზორულ ხედს-მეთქი იმისას, რომ საამიერკავკასიო სივრცეში ყველაფერი და ყველა თბილისის ემორჩილებოდა. ამ შეგრძნებას აძლიერებდა ისიც, რომ საბჭოთა კავშირის სათავეში ოსებს სტალინი, წარმოშობით გორელი იდგა, რაც დაპყრობილი და სოციალისტური ნედლეულად მოაზრებული ქართველი საზოგადოებისთვის მიზნობრივად შემოქმედებული ამბიციების მკვებავი გახდა („ამხელა იმპერიის პატრონი ხომ „ქართველი“ იყო“).

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამ საზოგადოებრივი სიმრავლის რიგებში გამოეპარათ და არც შეუმჩნევიათ, ქართველთა გონითი განფენის სივრციდან ქართული მამული განუყოფილად რომ სხვა ქვეყნებში: სოხის მხარე გადაეცა რსფსრ-ს (საინტერესოა, რომ მანამდე დენიკინის მოთხოვნას თუ რატომ უნდა ყოფილ-

ყო სოჭი რუსეთის შემადგენლობაში (ამ მხარეს ბევრი ფული დავახარჯეთ), „ქართველმა“ მენშევიკებმა საპირწონედ ის, რომ ეს ქართული სახელმწიფოებრივი სივრცის მოუხლენიანი ნაწილია, მტკიცე-ბულება ვერ აუჯუბირეს!). ამავე დროს ებოძა რუსეთს ჩრდილო კავკასიის რიგი ხეობა, იალბუხის მხარე, ქლუსორი, დედალეთი და ა. შ.

ეს უკვე გითხარით: იმისათვის, რომ „თბილისის ქვემდებარებაზე“ „მომხმე“ ახერბაიჯანსა და არმენეთს დისკომფორტი არ შექმნოდათ, მათ ქართული მამულიდან მიუხეველეს ჰერეთი, კამბეჩოვანი (ახერბაიჯანს), ლორე-ტაშირი (არმენეთს) და ა. შ.

თავის მხრივ, თვით საქართველოს სსრ-ს შიგნით „გასხვავებულად“ შემოერთებული აფხაზეთის სსრ, შემდგომში ასსრ (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი), აჭარისტანის ასსრ (აჭარა) და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ა/ო (რაჭის, იმერეთისა და ქართლის მიწებზე ხელოვნურად აღმოცენებული „არაქართული“ პოლიტიკური სივრცე) ქმნიდა იმის ილუზიას, რომ თბილისი მართლა იყო ამიერკავკასიაში ცენტრი და ქართულ საზოგადოებას არც დანადგლებია ქართულ მამულზე განხორციელებული ზემოთ ხსენებული „ჭრა-კერვები“; ისინი ხომ მაინც „თბილისის ემორჩილებოდნენ“ აქ, ხოლო ყველაფერი, როგორც გითხარით, „ქართველი“ ი. სტალინის ხელისმძღვენი იქნებოდა იქ.

აი, ეს იყო უმათარევი მიზეზი იმისა, რომ, როდესაც 1936 წლის 5 დეკემბერს ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაიშალა, ხოლო ახერბაიჯანსა და არმენეთმა მათთვის ხელოვნურად მისხეულებული ქართული მიწები თან წაიშობილეს, ქართულ საზოგადოებას ეს, თავისი კოლექტიური წინგაუხედაობის გამო (რომელიც დღემდე ვერ მოვიშალეთ), დიდად არც დაჰკლებია თვალში, ისევე, როგორც არ გულგოვია გაცილებით ადრე ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტაო, კლარჯეთი, იმერხევი, ლაზეთი და ა. შ.

დაიხ, კოლექტიურ პოპუნაში შერეკილმა ქართულმა საზოგადოებამ, რომელსაც თავი საბჭოთა იმპერიის ბატონ-პატრონი ეგონა და რომლის პოლიტიკურ საჭესთან სამკედრო-სასიცოცხლო შერეკებისას ძირითადად ქართველი ბოლშევიკები (ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძის, ა. ენუქიძის, შემდგომში დ. ბერიას) მეთაურობით დარაზმულმა ჯგუფმა გაიმარჯვა, არც კი ინადგლა (საუბარი არაა ცალკეულ მამულიშვილთა ძალისხმევაზე, ჩვენ ვამხელთ იმ დროის კოლექტიურ სიხერხეს) სოჭის, ჩრდილო კავკასიის ხეობების, ჰერეთის, კამბეჩოვანის, ლორე-ტაშირის, თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების ბუდი და კიდევ უფრო სათავაზრო ისაა, რომ არათუ ეს მხარეები, აგერ გუშინ მიტაცებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველაც, ანუ აფხაზეთიც, ცხინვალიც და მომდევნო „გასახვავებულები“ მხარე არ დაგვაკლებდა თვალში. ასეთია საყოველთაო გამთავყვანების „წესრიგი“.

სამწუხაროდ, ქართველი ერის დენაციონალიზაციის პროგრამამ (სოციალისტურმა ვალდებულებამ) ბოლშევიკურ ეთნოდივერსიათა საეთნოფაბრიკაციო ინდუსტრიას გვემად დაუსახა ქართველთა გონითი განფენის სივრცის მთლიანად განაწილება (დენაციონალიზაცია). ამ მიზნით გიორგიანელობა, ქრისტეს მხედრობა, შინერსი, ვაშინერსი, სულთერება, კულტურა (ხელოვნება, ხელოვნობა, ლიტერატურა) თუ ყოფილი ყოველდღიური (ბინადარი ცხოვრება, ეხო-კარმიდამო, მეურნეობა, მესაქონლეობა, ჩაცმა, სამზარეულო და ა. შ.), რომელშიც ქართული სული გაისაგნა, ყოველ მიზეზგარეშე ქვემდებარებულა გადაგვარებას. ასეთი მიზანი მოითხოვდა თუ მთლიანად და ერთბაშად ვერა, ჯერჯერობით მაინც საქართველოს ცალკეულ კუთხეთა „გასხვავებულება“ და აქაური ქართული მოსახლეობის „გასხვავახლდება“ როგორც უნდა მოეხერხებინათ. ამის მისაღწევად ჩვენს ჩრდილოეთ სამეზობლოში, როგორც მისმა წინამორბედმა, ისე საბჭოთა იმპერიამ იმთავითვე და ძალიან კარგად იცოდა, რომ იმისათვის, რათა ივერის ქვეყანა დაიპყრო (არადა, ივერის დეფისმობლის ხატი, იდიდოს მისი სახელი, რუსეთის ერთ-ერთი უმათარესი სალოცავია), ამისათვის ყველა წერილობითი თუ მთავარი, დაწყებული ტერმინებითა თუ დივერსიული სტრუქტურებით, დამთავრებული ამ მხარის დედანი შინარსის (ისტორიის) გაყალბებით, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში

უნდა აწარმოო, რისი ქმედითობის უზრუნველყოფას სჭირდება სათანადო ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრია.

ყოველივე ამას უნდა მოეხერხებინა მოსახლეობის ცნობიერებაში დეფიციტ-გენილი შინარსიდან გამომდინარე მეხსიერების წაშლა და ამის ადგილზე ეთნოდივერსიების გზით ნაყვალბევი, იმპერიის საჭიროებისთვის მიზანშეწონილი, საოკუპაციო ვითარებას მისადაგებული ახსნა-განმარტების ჩანაცვლება.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შემთხვევაში, როგორც მოგახსენეთ, სწორედ ამისთვის იქმნებოდა არათუ ფაბრიკაციული ისტორია, არამედ მას მორგებული სათანადო სტრუქტურები, კოლექტიური მეხსიერება, ტოპონიმია, ფოლკლორი, სამზარეულო, ჩაცმის წესი და ა. შ. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ამ მხარის მოსახლეობის მეხსიერებაში საბუდისწეროდ განამტკიცდა საყოველთაო რწმენა იმის შესახებ, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) ქართული მხარე არაა, არც „აფხაზი“ ნიშნავს ამ მხარის ქართველს და იგი („აფხაზი“) გაუპიროვნდა სხვადასხვა მიზნით და მიზეზით, ხშირ შემთხვევაში არაა გულთადად შემოხიზნულ მოსახლეობას.

დაიხ, სწორედ ასეთი ეთნოდივერსიული განმარტებების „სისწორე“ მოახვიეს თავს და ამაში დააჯერეს არათუ ამ მხარის მოსახლეობა – როგორც ძირმევე, ასევე შემოხიზნული, – ჩვენდა გასაკვირად და გასაოცრად, დღესაც, როცა მეოთხედი საუკუნეა რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ასე სჯერა ქართული საზოგადოების უდიდეს ნაწილს, – არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, ვფიქრობ, რომ ამის მიზეზი იყო ჩვენი საყოველთაო, ჯოგური გულარხეობა და დანაშაულებრივი წინგაუხედაობა ისეთ მიზეზსთან და ყურდასშობასთან ერთად, როდესაც ის (ქართველი) ჯოგურ სინღუნგესთან მისი მთარეების გამო, არ აღიქვამდა, არ ხედავდა ქართულ ხედავ ახერბაიჯანელებზე და ქართული მარჯვეთი მიუჭურთმებულ ღიხნს, მოქვსა თუ ბედას, ასევე, არ ესმოდა აქედან შემოღებულადეული ასომთავრულის გამაფხალიება.

ბუნებრივია, როდესაც აფხაზეთი (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო) მიიჩნეოდა მხოლოდ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შემომაგულ „მომხმე“, მაგრამ „არაქართულ ქვეყნად“, ისევე, როგორც ამას დანაშაულებრივად ასაჯაროებდა 2015 წელს რესპუბლიკური პარტიის წევრი პაატა ზაქარეიშვილი – იმხანად საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრი, მაშინ ისეთი ეროვნული სიწმინდე, – გაგრა ან ბიჭვინთა რომაა, „მიწის ნალექი“ ხდება, რომლისთვისაც თავის გაწირვა „სისულელეა“, ყოველ შემთხვევაში, ასე სჯეროდა რამოდენიმე წლის წინ ქალბატონ თინა ხიდაშელს, ასევე, რესპუბლიკური პარტიის წევრსა და საქართველოს თავდაცვის მინისტრს ამ ცოტა ხნის წინ.

გასაგებია, როდესაც ქართველთა გონითი განფენის სივრციდან წარგლეჯილი მხარეები საზოგადოებისთვის მამული და შეუცნებლობა კი არა, მხოლოდ ადმინისტრაციული-ტერიტორიული მთლიანობის საამბიციო სავანი ხდება, ასეთ შემთხვევაში ერის ქულსეკაცობა არ დარაზმება საქრისტესმხედროდ, ანუ მამულის შემოსახსნეულებლად.

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა ყოველთვის არ ნიშნავს სამშობლოს გაერთხეულებულ მდგომარეობას. ასე, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობა იყო იმპერიული სახელმწიფოს ხელყოფილობა და არა მასში შემტრეული ხალხების სამშობლოთა საზღვრების დაცვლობა ან უსაფრთხოება.

მიუხედავად იმისა, რომ დროსა და სივრცეში არ არსებობს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ოდესმე ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) ქართველთა მამული ან ცნობიერი საბრძანისი არ ყოფილიყო, ჩვენი საზოგადოება სახისფაო სიჯიუტით მაინც საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ტერმინოლოგიითა და სტრუქტურებით განიხილავს აფხაზეთის საკითხს. ამგვარი სირეგენის, უცილობისა და შედეგის თვალსაზრისით ბოროტოქმედული ყებელების ნიმუში გახლავთ ერთი უთქმელი უვიცობითა და ორპირობით შედეგინილი ასეთი დებულება: „...აფხაზეთი და აფხაზი ერთ

არსებობს თავისი ტერიტორიით. აჭარა და აჭარელები არსებობენ საქართველოს ტერიტორიაზე არა როგორც ერთი, არამედ როგორც საქართველოს ნაწილი. აფხაზეთი იყო საქართველოს შემადგენლობაში, თუმცა როგორც ერთი არსებობს...“ (ყურნალი „ფორუმი“, 2006 წ. №1).

ასეთი დასკვნა, რომელიც მოვლენათა პირწმინდა გაყვალბებაზე გადმოძრული, აგებულია იმ „ინტერნაციონალურ ვალდებულებაზე“, როცა საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის პირობებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მიზნობრივი ისტორიის ფურცლებზე აფხაზეთათვის, როგორც აწ უკვე „გასხვავებულნი“ პოლიტიკური სუბიექტის „სატიტულო ერისათვის“, ხელოვნურად უნდა გამოჩახულიყო „კუთვნილი“ ადგილი იმავე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში...

უნდა დამეთანხმოთ, რომ ამგვარი დებულებების ჩამოყალიბებასა და მათ გამრავლდალებაში (ტირაჟირებაში) ჩვენი წილი გულგრილობაც უდაოდ არის. ამ მსჯელობაში, რომელიც ვეროპულად დირეულებებისა და დასავლური დემოკრატის სახელით ხშირდება, გასაკვირი კი არაა მარტო, აღმაშფოთებელი გახლავთ ის, რომ ასეთ ხმაზონდათ ავტორებს რუსეთს ვითომ ეძახიან ოკუპანტს, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხში, კვლავ და კვლავ, საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული პოლიტიკის შესაბამისად, აქედან გამომდინარე, საოკუპაციო შემოქმედებების მიხედვით და საგანგებოდ აფხაზეთის „გასახვავებულად“ პროვოცირებული დეკრეტების, ტერმინებისა და სტრუქტურების საფუძველზე „იქნევენ მახვილს“. ყოველივე ამით, ანუ მკვდრადშობილი ცრუქმედებით „ჩვენი“ საინფორმაციო საშუალებები არათუ „ყურებზე ხახვს ვერ აჭრიან“ აგრესორ-სეპარატისტებს, პირიქით, ნელი მოქმედების ნაღველი თვითონვე ახრახინან საფხაზეთი საკითხებს.

ცხადია, დღეს აფხაზეთის საკითხში თავსატეხი გახლავთ (პრობლემა) აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) პრობლემის დედან შინარსში გასიცრმეგანება.

კი ბატონო, სწორია, ამ ყველაფერში გაუთვითცნობიერებელი მასა აფხაზეთის რაობა-ვინაობის გარკვევისას სიბრწყინსკენ იყო და არის მიდრეკილი, მაგრამ იმ ტრიბუნადან, საიდანაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ჭირისუფლობას იხმებენ და ამაზე „ინწყებენ“ გულს, მაფიოდ უნდა ერკვეოდნენ საფხაზეთო მოვლენებში. მათ უნდა იცოდნენ, რომ აგრესიული სეპარატისმისა და „ახააჰაჰაჰა“ ური ეთნოკრატის ათარეშება იმაზე დიდ „გულანწყებებს“ ვერ მიაგებებ, ვიდრე ამას თვალისწინებდა სკკპ ცკ-ის, შესაბამისად, საქართველოს კ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის ივლისის დადგენილებები აფხაზეთის შესახებ, თუმცა ამით აგრესორ-სეპარატისტთა დიდმპყრობლობა და ქართველთმოდულეობა არ დაკლებულა და არც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) „გასხვავებულება“ შეჩერებულა.

თუ სიმართლეს ჩავეძიებთ, ასეთ „გულანწყებებში“ ჩახრახინილი საშინაო დავალება მიმისამართებელია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) გენოციდისა და ეთნიკური წმენდის გზით გამოძევებული 350.000 დევნილის საგაყვითლოდ, რათა მათ ერთხელ და სამუდამოდ დაიჯერონ, რომ ისინი ამ მხარეში მორეგულირებისთვის მოქალაქეები არიან. რამაც ხელი უნდა ააღებინოს იქ მიბრუნების სურვილზე, ასეთია ტექნიკრატული დასავლეთის და დიდმპყრობლობების შეთანხმება.

სამწუხაროდ, ამ გარეგნის გასწვრივ უფრო დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ ასეთი მორიგების განხორციელება სწორედ ჩვენი სატანტოდან მოსაქმინან საინფორმაციო მისახერხებისა და მათთან ფხვანწობილი ქართული საზოგადოების ნებართვით ხდება.

სმრბი საჯანია,
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი; მწერალთა აკადემიის წევრი; ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების ვეტერანი; ნიუ ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას სახელის პრემიების ლაურეატი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



რუსი ბერი, რომელმაც თბილისს კმათავიკვლელი ომი უწინასწარმეტყველა

მამა ვიტალის ცხოვრება და სასწაულები



მხრივ ოცნებები ამიხდინა. ჩემზე არ განმცდია, მაგრამ მილოცია და ეს სურვილი ამიხდა”.

ლიზა შაპუნინა – “სურვილი ავადმყოფზე ჩაფიქვრე. ღვთის წყალობით, ახლა კარგად არის”.

მარინე ბაზნიძე – “ჩემი და არის უბღურებაში. სულ მომაქვს-ხოლმე სურათი და მამა ვიტალის შეფთვ. ღვთის წყალობით უკეთესი ანალიზები აქვს. ქიმიას იკეთებს”.

მამა ვიტალი კრასნოდარის მხარეში 1928 წელს ღვინოში დაიბადა. ღვთისაღმადგინებელი ყრობიდან ამოღებულა. 16 წლის იყო, როდესაც საბჭოთა პასპორტი დახია. 20 წლის ასაკში კი გლინის უდაბნოში მორჩილი გახდა, სადაც 1961 წლამდე მოღვაწეობდა. მოგვიანებით იგი ბერად აღიკვეცა და აფხაზეთის მთებში იმ დროს სხვაგან იმყოფებოდა. შემდგომ მოძღვრის კურთხევით, მამა ვიტალი მსახურებისთვის თბილისში, წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში, გადავიდა.

ღვთის დასახლებაში არის ერთი პატარა, რუსული ტიპის სახლი, სადაც მამა ვიტალი 1969 წლიდან რამდენიმე წელი ცხოვრობდა. დღეს იქ მისი სავანეა. ერთ-ერთ ოთახში ბერის პირადი ნივთები, სიწმინდეები და ხატები ინახება. იქვეა მისი სამოსი, რომელზეც ბერული ცხოვრების კვალი ჩანს. შემონახულია ასევე მამა ვიტალის ცოცხალთა და მიცვალებულთა მოსახსენიებელი, რომელშიც 1000-ზე მეტი სახელი მისი ხელით არის ჩაწერილი. მიცვალებულთა მოსახსენიებელი 4-5 საუკუნის ქართველ მეფეთა სახელებით იწყება. სავანეში გვიხარებს, რომ იმ პერიოდში ბერმა ქართველმა არ იცოდა ქართველ მეფეთა სახელები და მამა ვიტალი კი მათ იხსენიებდა.

სავანეში ამჟამად ორი მონაზონი ცხოვრობს. სქემონაზონი ირინე უკვე მე-11 წელია სავანეში ატენისა და გორის მიტროპოლიტის ანდრია გვაზავას კურთხევით იმყოფება. იგი ამბობს, რომ მამა ვიტალი სავანის მკვიდრთა დიდი შემწეა და მას პირადად არაერთხელ უგრძობია ეს.

დღეა ირინემ ჩვენთან საუბრისას 2005 წლის აღდგომის მომხდარი უცნაური ფაქტიც გაიხსენა, რომელიც მათთან წმინდა ცეცხლის მიბრძანებას უკავშირდება. “აღდგომა იყო. დღეა სერაფიმამ გვითხრა, რომ ჯერ მასთან მიბრძანდებოდა ღვთაებრივი ცეცხლი და შემდეგ ჩვენთან გადმობრძანდებოდა. ამ პერიოდში სავანეში სამნი ვიმყოფებოდით. მოვამზადეთ პატარა ტკბილი სუფრა და საადგომო გალობებით ვცდილობდით, რომ შევხვედრილიყავით იერუსალიმის ცეცხლს. ჩვენა გასაოცრად, ჭიშკრის ხმა ყველამ გავიგეთ, კარები გაიღო და რამდენიმე ადამიანის ფეხის ხმა გაისმა. თითქოს, ერთი ჯოხითაც მოვიდა. კერძოებს რომ დაარტყამს და გაივლის, ასეთი ფორმით. ვისაც ჩვენთან ცეცხლი უნდა მოებრძანებინა, იქედან ერთ-ერთი ჯოხით დადიოდა. ვიფიქრეთ, რომ ცეცხლი მობრძანდა და ეს ადამიანიც მოვიდა, რომელიც ჯოხით დადის. მოხდა სასწაული. კარები ღია იყო და ეზოში არავინ არ იყო. არადა გავიგეთ, როგორ მოაბიჯებდნენ მონასტერში რამდენიმე ადამიანი. ამ ფაქტიდან დაახლოებით ნახევარ საათში მიბრძანდა იერუსალიმის ცეცხლი. ამის შემდეგ რომ დაგრეკეთ დედა სერაფიმასთან და მოუყუევით ეს შემთხვევა, მან გვითხრა, ნუთუ არ იცოდით, რომ ვიდრე თქვენ შეხვედებოდით იერუსალიმის ღვთაებრივ ცეცხლს, მანამდე მანდ მოღვაწე დევლები და მამები შეხვედებოდნენ ღვთაებრივ ცეცხლს. ისინი

ამ ცეცხლის შესახებდრად შეიკრიბნენ”, – განაცხადა დედა ირინე.

მამა ვიტალი 1992 წელს 5 დეკემბერს აღესრულა. გარდაცვლილ სქემარქიმანდრიტს წესი თავად პატრიარქმა აუგო. შემორჩენილია უნიკალური კადრები, წესის აგების დროს როგორ შლის და ხურავს ცერა თითს მიტევების წერილის დასაჯერად მამა ვიტალი.

“ეს იყო წმიდა ბერი, მე არაერთხელ მინახავს ეს სიწმიდე, რომელსაც იგი თავის გარშემო აფრქვევდა. დღეს, მანო და დანო, ჩვენ ვაცილებთ მას, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მამა ვიტალი მარადვამს ჩვენთანაა და იმისათვის, რომ ყველას ყოველდღიურად გვქონდეს სულიერი ნუგეში, გადავწყვიტეთ, იგი წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში დაგვკმალოთ. ეს ყველას მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ხშირად მივიდეთ მასთან, მივიღოთ მისი კურთხევა. ისევე, როგორც სიცოცხლეში, იგი ყოველთვის დაგვეხმარება ჩვენ. უფალმა დააწესოს მისი სული მართალთა სანახებში. უნდა გვახსოვდეს, რომ ის ერთ-ერთია იმ ბერთაგან, რომლებიც განსაცდელის მიმე ჟამს სიყვარულით მიიღო ყოველდღიურად ღვთისმშობლის წილხვედრმა დეოთიკურთხეულმა ივრამამ...”, – განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მამა ვიტალის წესის აგების დროს წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში.

ამბობენ, რომ ბერმა 30 წლით ადრე იწინასწარმეტყველა თბილისში მძათეკვლევი, ასევე აფხაზეთის ომები. სიკვდილის წინ მამა ვიტალი მის სულიერ შვილებს მოუწოდებდა, არ დაეტოვებინათ საქართველო.

მამა ბახუტაშვილი, AMBEBI.GOE

წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ეზოში ერთი განსაკუთრებული მოვლილი, ყვავილებით გაშენებული საფლავია. აქ სანთლები ხშირად გვიან ღამითაც ანთია. სქემარქიმანდრიტ ვიტალი სიდორენკოს, ანუ მამა ვიტალის საფლავთან მომლოცველების რიცხვმა ბოლო წლებში უფრო იმატა. მორწმუნეები მამა ვიტალის საკუთარ პრობლემებზე ზოგჯერ ცრემლებითაც ეწურნულებიან. მათ იმედი აქვთ, რომ რწმენით მისულებს მამა ვიტალი შეეწყვა.

მონაზონთა გადმოცემით, მამა ვიტალის უთქვამს, რომ მის საფლავთან მორწმუნეებს მათ გასაჭირის შესახებ მოეთხროთ და როგორც ცოცხალი, დაეხმარებოდნენ.

მამა ვიტალის საფლავზე მისულ რამდენიმე მომლოცველს გაგვსაუბრეთ.

ანა ჯამალაშვილი – “უშიფილობის

„შჩა ნანუაშვილი, მისი მეუღლე და მებოძრები „ქრისტიანთა კავშირის“ სექტის წევრები არიან“

ყოველთვის დიდ გაკვირებას იწვევდა ჩემში ის ფაქტი, თუ რატომ ებრძოდა ასე გამალებით სახალხო დამცველი შჩა ნანუაშვილი საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, რატომ ადვიდებდა თავისი განცხადებებით ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს. ბევრი სვამდა ამ კითხვას და კონკრეტულ პასუხს ვერ იღებდა. მე ვიპოვე კითხვაზე პასუხი”, – ამის შესახებ „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მუხაშვილი განაცხადა. მან შჩა ნანუაშვილისა და მასთან დაახლოებული პირების რელიგიურ სექტაში ყოფნის შესახებ ისაუბრა.

„ნათქვამია – არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს. ჩემს მიერ დადგენილი იქნა, რომ შჩა ნანუაშვილი, მისი მეუღლე ირმა მამასახლისი და მისი მეგობრები არიან საქართველოში არსებული სექტის „ქრისტიანთა კავშირის“ წევრები და ეს კავშირი თავის მხრივ გაწვევრიანებულია გლობალური სექტის „ქრისტეს ეკლესიის“ რიგებში, რომელსაც თავისი ფილიალები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც გააჩნია.

ამ კავშირის დირექტორი და დამფუძნებელი ირმა მამასახლისი. ასევე შჩას მეგობრები მიხეილ და ეკა მათითაიანი მყოფები, იური სოროკინი და ნინო დვევანიშვილი. შჩა ნანუაშვილი მართალია ორგანიზაციის ამონაწერში არ ფიგურირებს, ფაქტობრივად ლიდერია ამ სექტისა. ის ქადაგებს სექტის წევრებთან და მუშაობს სექტის რიცხვნობის გაზრდაზე.

„ქრისტეს ეკლესიის“ სექტის სათაო ოფისი მდებარეობს აშშ-ში. სექტას ჰყავს თავისი წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნის სახელისუფლებო შტოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი და დასაბუთებული ვარაუდი, რომ სწორედ სექტის გავლენიანი პირების მუშაობის შედეგად გახდა შჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველი.

სექტისთვის დამახასიათებელია წმინდა წერილის უკიდურესად პრიმიტიული განმარტებები, განსაკუთრებით აგრესიული მართლებების გამოყენება, ზეწოლა პირულებზე. მისი მიზანია, ჩაუხშოს ადამიანს კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი“.

საქართველოს პატრიარქი რუსეთის პატრიარქს – რვენ ვჭირღებით ერთმანეთს და რვენ ერთმანეთს უნდა დაუხმაროთ



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელიც დღევანდის წვერებთან ერთად მოსკოვში იმყოფებოდა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მიესალმა. შეხვედრა მოსკოვში, რუსეთის პატრიარქის რეზიდენციაში, დინიელის მონასტერში შედგა.

ჩვენ ჩამოვიყვით თქვენი უწმინდესობის 70 წლის იუბილეს აღსანიშნად და გვსურს გამოვხატოთ ჩვენი კეთილი სურვილები, ასევე გისურვოთ მშვიდობა და კეთილდღეობა თქვენ ეკლესიასა და სამშობლოს. საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიებს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნიათ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხისთვის. ჩვენი ეკლესიები იძლევიან მავალითს პოლიტიკური მოღვაწეებისთვის ჩვენ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით. უნდა ვთქვა, რომ გასულ წლებში საქართველოში არასოდეს ყოფილა იმდენი დამხვენილები რუსეთიდან, როგორც ახლა და ჩვენ ეს ძალიან გვახარებს. ჩვენ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდეს.

ვიფიქრობ, რომ ეს გამოგვივა. ჩვენ ვჭირღებით ერთმანეთს და ჩვენ ერთმანეთს უნდა დაგვეხმაროთ”, – ბრძანა ილია მეორე.

რუსეთის საპატრიარქოს ცნობით, ილია მეორემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ქართული და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობა ორი ქვეყნის პოლიტიკოსებისთვის სამაგალითო უნდა გახდეს.

„უნდა აღვნიშნო, რომ წინა წლებში საქართველოში არ იყო ამდენი დამხვენილები რუსეთიდან, როგორც ახლა და ჩვენ ეს გვახარებს. ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის სასურველია უკეთესი იყოს, ვიდრე დღესაა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა გაუმჯობესდეს ჩვენი ქვეყნების პოლიტიკოსებს შორის დამოკიდებულება. ვფიქრობ, ეს გამოგვივა. ჩვენ ერთმანეთს ვჭირღებით და ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ”, – ციტირებს საქართველოს პატრიარქს რუსეთის საპატრიარქოს ვებგვერდი.

ჩემთვის თქვენი უწმინდესობის და უნეტარესობის ყოფნა განსაკუთრებით ძვირფასია. თქვენ ბრძანდებით ყველაზე ასაკოვანი ყველა სხვა ადგილობრივი ეკლესიის წინამძღოლთა შორის და თქვენი ცხოვრებაც მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებასთან. ჩემი ბიოგრაფია გადახლართულია თქვენ ბიოგრაფიასთან: ჩვენ ბევრი მოვლენის მონაწილეები ვიყავით – როგორც სასიხარულო, ისე სამწუხარო, რომლებიც მოხდა მართლმადიდებელი ადამიანების ცხოვრებაში, რომლებიც მაშინ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ. ასევე მოგვიანებით ჩვენ შორის ურთიერთობა ყოველთვის იყო კეთილი, სანდო და ჯობი. ვფიქრობ, ამან დიდი გავლენა მოახდინა იმაზეც, რომ ჩვენ ეკლესიებს შორის კარგი ურთიერთობებია.

ეკლესიებს შორის ურთიერთობა – ეს არის ურთიერთობა ადამიანებს შორის გულუბნობის დონეზე. თუკი პოლიტიკოსები და დიპლომატები როგორც წესი, ცნობიერების დონეზე მუშაობენ, ბიზნესმენები კი “საფულისა და კუჭის” დონეზე, ეკლუ-

სიები – ადამიანთა გულების დონეზე ურთიერთობენ. ადამიანთა გულების ამ კავშირების გარეშე ვერ იქნება კარგი ურთიერთობა ქვეყნებსა და ხალხს შორის. სწორედ ამიტომ, უდიდეს მნიშვნელობას განიჭებთ თქვენ ვიზიტსა და რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების როლს ჩვენ ხალხს შორის კარგი ურთიერთობების შენარჩუნების საკითხში”, – განაცხადა რუსეთის პატრიარქმა.

რუსეთის ეკლესიის წინამძღოლმა რუსული და ქართული ადგილობრივი ეკლესიების ურთიერთობების გაღრმავებაზეც ისაუბრა.

„პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ვცხოვრობთ რა ახლოს, ხშირად ვურთიერთობთ ერთმანეთთან – თქვენი მდებარეობები სტუმრობენ რუსეთს, ჩვენი მეუფეები ჩადიან საქართველოში – ძალიან ხშირად ვაწერ ხელს თხოვნას, საქართველოს სიწმინდეების მომლოცველები ვაკურთხოთ და არა მხოლოდ ჩვენი მდებარეობები, არამედ მოსკოვის ბევრი კლირიკოსი და მონაზვნები მიემგზავრებიან თქვენ ქვეყანაში, რათა წმინდა ადგილები მონახულიყონ”, – განაცხადა რუსეთის პატრიარქმა.

თავის საუბარში მან მოსკოვში მდებარე წმინდა ვიქტორის სახელობის ქართულ ეკლესიაზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც მისი თქმით, სულიერების ცენტრად იქცა ქართული დიასპორისთვის მოსკოვში.

საქართველოს პატრიარქმა რუსეთის პატრიარქს წმინდა სამების ხატი უსახსოვრა.

რუსეთის პატრიარქმა ილია მეორეს მოსკოვში ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა.

„ადამიანების გულების კავშირის გარეშე, შეუძლებელია კეთილი კავშირი ქვეყნებსა და ხალხებს შორის”, – განაცხადა რუსეთის პატრიარქმა.

ილია მეორე დღევანდის წვერებთან ერთად საქართველოში 25 ნოემბერს დაბრუნდა.

17 ნოემბერი ცნობილი ქართველი პოეტის რაულ ჩილაჩავას დაბადების დღეა



რაულ ჩილაჩავა დაიბადა 1948 წლის 17 ნოემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში, ექიმის ოჯახში. გაიზარდა ამავე რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში, სადაც 1965 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქურნალისტიკის განყოფილებაზე. 1967 წელს მიაღწინეს უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და სტაჟირება. ამავე წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს კიევიში.

პირველი ლექსი გამოაქვეყნა დაახლოებით 50 წლის წინ, ზუგდიდის რაიონულ გაზეთ „მებრძოლში“. ლექსების პირველი წიგნი კი 1973 წელს გამოსცა. ჩილაჩავას სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის პოეზია, მხატვრული თარგმანი, ესეისტიკა, პუბლიცისტიკა, კომპარატივისტიკა, ლიტერატურის თეორია, ქართულ-უკრაინულ-ლატვიური ურთიერთობანი. წერს და თარგმნის სამ ენაზე – ქართულად, უკრაინულად, რუსულად. უკრაინულად და რუსულად ნათარგმნი აქვს დავით გურამიშვილის ლექსები, უკრაინულად – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკ-

ტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები, ქართულად – ტარას შევჩენკო, ივან ფრანკო, ლესია უკრაინკა, პავლო ტინინა, მიკოლა ბაჟანი და კიდევ სხვა ასზე მეტი უკრაინელი პოეტი. მისი პირადი ინიციატივით, წინასიტყვაობა-ბოლოსიტყვაობით, კომენტარებითა და რედაქტორობით კიევიში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა ქართული ხალხური, კლასიკური და თანამედროვე პოეზიის სქელტანიანი ანთოლოგია „ოქროს ვენახი“, „ქართული მოთხრობის ანთოლოგია“, „ქართული ხალხური ზღაპრები, ანდაზები და სიტყვა-თქმები“, „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“. მის მიერ უკრაინულად თარგმნილი გალაკტიონის ლირიკა უკრაინულმა კრიტიკამ სანიშნოდ აღიარა. პოეტის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რომლებიც დაცულ იქნა შესაბამისად რუსულად და უკრაინულად, ეძღვნება „ვეფხისტყაოსნს“, „დავითიანს“ და ქართული კლასიკის სხვა ნიმუშთა თარგმნის პრობლემებს, ქართულ-უკრაინულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ცალკე წიგნადაც გამოვიდა კიევიში, აკადემიკოსმა ლენინდ ნოვიჩენკომ თაფაფასა, როგორც „ტრიაქტატი მხატვრული თარგმანის შესახებ, რომელსაც მომავალი მკვლევარები გვერდს ვერ აუგლიან“. ამჟამად არის ასზე მეტი გამოცემის ავტორი. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, ქართულად თუ უკრაინულად გამოსცა რამდენიმე წიგნი: „შინ“, „ასი ლექსი“, „პესიმისტის ჩანაწერები ანუ ბავშვობაში იმპრესიონალიზმი“, „ლაგერენტი ბერისას ვაჟი მოგვითხრობს“ (ოთხივე გამოცემლობა „ინტელექტი“), „ამბასადორი“ (კიევი-რიგა, „უკრაინსკი პისმენნიკ“, „ინფორმაციის ინფორმაცია“), „ეული ვარსკვლავის შუქი“ (ლექსები ორ ტომად უკრაინულ ენაზე, „უკრაინსკი პისმენნიკი“), „აიღებ კობზარს საქართველო“ (ქართული მწერლები შევჩენკოს შესახებ, თარგმანი, ლეოვი, „სვიტი“). ამჟამად გამოსაცემად მზადდება ჩილაჩავას მიერ თარგმნილი უკრაინული და ლატვიური პოეზიის ანთოლოგია ერთ ტომად, რომელშიც 130-ზე მეტი ავტორის ნაწარმოებია შესული.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1970 წელს, რედაქტორად მიიწვია უკრაინ-

ული საბჭოთა ენციკლოპედიის დირექტორმა მიკოლა ბაჟანმა; ამის შემდეგ მუშაობდა უკრაინულ პრესაში ჟურნალისტად, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად, 1992 წლიდან 2005 წლამდე იყო უკრაინის ეროვნებისა და მხრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილე, პარალელურად უკრაინის დედაქალაქის წამყვან უნივერსიტეტებში ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას, კიევის კულტურისა და ხელოვნების ხელმძღვანელ კადრთა სახელმწიფო აკადემიაში ხელმძღვანელობდა უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის კათედრას, დავით გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციას. 2005-2010 წლებში იყო უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში.

ჩილაჩავა არის საქართველოს, უკრაინის და ლატვიის მწერალთა ეროვნული კავშირების წევრი, მწერალთა და პუბლიცისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, უკრაინის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

რაულ ჩილაჩავას მიღებული აქვს არაერთი ჯილდო თუ პრემია. მათ შორის, არის გალაკტიონ ტაბიძის, მაქსიმ რილსკის, ვლადიმერ ვინჩენკოს, ალექსანდრე ჩაიკის, მავრიკ ვულფსონის სახელობის პრემიების ლაურეატი, ფრანც კაფკას სახელობის საერთაშორისო ოქროს მედლისა და ციკერონის სახელობის საერთაშორისო პრიზის მფლობელი; დაჯილდოებულია „დირსების ორდენით“ (საქართველო), ორდენით „დამსახურებისათვის“ (უკრაინა), „სამი ვარსკვლავის“ ორდენით (ლატვია), უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა მემარტირე ნესტორის სახელობის ორდენით, წმინდა სტანისლავის სახელობის საერთაშორისო ორდენით „კომანდორის ჯვარით“ და „ოფიცის ჯვარით“, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის საპატიო სიგელით, უკრაინის უზენაესი რადის საპატიო სიგელით „უკრაინელი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“, თბილისის მერიის სიგელითა და მედლით

„ქართული კულტურის ამბადარი“, ასევე სხვა ჯილდოები.

ჰყავს მეუღლე ია ჩილაჩავა, განათლებით ფილოლოგი და კულტუროლოგი, ლექციებს კითხულობს კიევის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნულ უნივერსიტეტში, ორი ვაჟიშვილი რაული (1975 წ.) და თემური (1976 წ.) – ჟურნალისტები არიან და მუშაობენ უკრაინის ტელევიზიის მეხუთე არხზე წამყვანებად. უფროსი ვაჟიშვილი გური, დაბადებული 1969 წელს, დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში.

მთავარი რედაქტორის მინაწერი: 1993 წელი იღვანა, უმძიმესი პერიოდი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისათვის. ჩემმა მეგობარმა, ზვიადის თანამებრძოლმა ცუგო ხელაშვილმა საკუთარი ავტობიოგრაფიაში დატოვა და თბილისში თვითმფრინავით ჩამოვიდა, რადგან მანქანის დაყარებას ჩრდილოეთ კავკასიაში თუ გადაურჩებოდა, საქართველოში ნაღდად წაართმევდნენ და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შეიძლება მოეკლათ კიდევ. მდგომარეობას აფხაზეთში განაღებულმა ძმობამეკლავი ომიც ართულებდა. მოკლედ, საშინელი დრო იდგა. მე და ჩემი მეგობარი კიევიში გადავფრინდით, რათა მოსკოვისკენ გზა მანქანით გაგვეგრძელებინა.

ის იყო მანქანაში უნდა ჩამოსხდარიყო, რომ ვიღაცამ ტორი დამადო მხარზე და ოდნავ შესაწმენდი მგერული პრონოსით მითხრა – ისე აპირებ კიევიდან წასვლას რომ რაულ ჩილაჩავა არ გაგახსენდა?

უზომოდ გავიხარეთ. არაფერმა გაჭრა – დიდ ხანს ვეღარიტინეთ რაულს ძალიან გვეჩქარებოდა, მოსკოვში საქმეები გველოდებოდა, მაგრამ ნირი ვერ ვაცვლევინეთ და ნახევარ საათში რაულის ოჯახში გაწვობილ სუფრას ვუსხედით.

მისთვის ჩვეული დიდებული მასპინძლობა გაგვიწიეს რაულმა და მისმა მეუღლემ ქალბატონმა იამ, იმდენად დამბობით, რომ გამგზავნა გვიან გაგახსენდა...

მზეგრძელობას და ბედნიერებას გისურვებ, ძმაო რაულ! კიდევ ბევრჯერ გაგეხარებინოს მკითხველები შენი ლამაზი შემოქმედებით, მეგობრები და ახლობლები კი – უზადო მასპინძლობით.

მარად შენი მეგობარი და ღრმად პატივისმცემელი როლანდ ჯალაღანია

რა არის ჰაერის დაბინძურების მთავარი მიზეზი და როგორ ვებრძოლოთ ამ მწვავე პრობლემას?



2016 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰაერის დაბინძურების ახალი მანკნებელი გამოაქვეყნა: როგორც აღმოჩნდა, მსოფლიოში ამ მიზეზს ყოველწლიურად 6.5 მილიონი ადამიანი ეწირება. კვლევების მიხედვით გამოვლინდა იმ ქვეყნების სია, რომლებშიც ჰაერით დაბინძურების გამო სიკვდილიანობა მაღალი ნიშნულს უახლოვდება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველო ამ სიაში პირველ ადგილს იკავებს. შემდეგ ადგილებს ბულგარეთი, ჩინეთი, ინდოეთი და უნგრეთი ინაწილებენ. 27-ე ადგილას ამერიკა იმყოფება. ამ ქვეყანაში სიკვდილიანობა დაბალია გერმანიასა და საფრანგეთთან შედარებით. მიზეზი ერთია: ამერიკაში გზებზე იშვიათად თუ შეხვდებით დიზელის მანქანებს. დიზელის ძრავა წვავს ცოტას, მაგრამ გამოიმუშავებს უფრო მეტ ჰაერტლს, მეარ ნაწილაკს და აზოტის ოქსიდს, ბენზინის ძრავასთან შედარებით. როგორ მოხვდა ჩვენი ქვეყანა ამ სიაში

პირველ ადგილას? უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საქართველოში გაიზარდა ძველი, დიზელის ძრავაზე მომუშავე მანქანების რიცხვი. ქვეყანაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა საკმარისად განვითარებული არ არის. რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასადგილებლად კერძო მანქანებს ირჩევს, რომელთა უმეტესობა მეორეულია. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ მათი რაოდენობა სწრაფად იზრდება. უცხოეთიდან იმპორტირებული მანქანების ასაკი 10-15 წელს ითვლის. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენთან დიზელის მანქანები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

საქართველოში 930.000 ავტომობილია რეგისტრირებული, ამ სატრანსპორტო საშუალებების 55-60% (2015 წ.) თბილისში რეგისტრირდება, ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენს დედაქალაქში დაახლოებით ნახევარი მილიონი ავტომობილია. რა თქმა უნდა, სტატისტიკა მზარდია და მათი რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს. სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად, ჰაერის დაბინძურების მანკნებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ქალაქში ცხოვრების დონის განსაზღვრისას. თბილისი კი, საბუნებრივად „შერკევის“ 2015 წლის მონაცემებით ევროპაში ცხოვრების ხარისხის მანკნებელი, მინსკთან ერთად ბოლო ადგილზეა.

დღესდღეობით საქართველოში მანქანების შემოწმებას არავინ არ ატარებს. შედეგად ვიღებთ იმას, რომ უამრავი მანქანა მექანიკურად ცუდ მდგომარეობაშია.

გამონაბოლქვი აირების პერიოდული ტესტირებაც შეჩერებულია. დაბალი ხარისხის საწვავს ზიანის მიყენება შეუძლია მანქანის კატალიზატორისთვის. მანქანის მფლობელები ხშირად იღებენ (და არ ცვლიან) დაზიანებულ კატალიზატორებს. ასევე უნდა გავითვალისწინოთ სხვა ფაქტორებიც: ტრანსპორტის გაუმართავი მენეჯმენტი და ხშირად შექმნილი საცობები, ძველი მანქანების საბადოები. ეს ყველა მიზეზი იწვევს ჰაერის დაბინძურებას და ქვეყანაში სიკვდილიანობის ზრდას.

როგორ შეგვიძლია შევამციროთ ჰაერის დაბინძურება?

ჩინეთში ნელ-ნელა იწყებენ თანამედროვე ჰაერის გამწმენდი ტექნოლოგიის გამოყენებას. სანამ ეს უკანასკნელი ჩვენთანაც დაინერგება, მანამდე თითოეულ მოქალაქეს შესწევს იმის უნარი მოახდინოს ჰაერის დაბინძურების პრევენცია. პირველ რიგში ყველა უნდა ვეცადოთ იშვიათად გამოიყენოთ მანქანები. ხშირად შეგვიძლია სამარშრუტო ტაქსით, ავტობუსით ან მეტროთი ვისარგებლოთ. ასევე მცირე მანძილზე არა მანქანებით, არამედ ფეხით ან ველოსიპედით გადავაადგილოდეთ. სხვა შემთხვევაში ეცადეთ ეკონომიურად დახარჯოთ საწვავი. არ დაგავიწყდეთ წყლისა და ენერჯის დაზოგვა. ელექტროენერჯია, რომელსაც ჩვეულებრივი ჰესები წარმოშობს, იწვევს დაბინძურებას. ბუნება დეგრადაციისგან რომ დაიცვათ, გამოიყენეთ ლუმინესცენტური სანათი. ის ცოტა ელექტროენერჯიასაც გამოიმუშავებს და ეკონომიურიცაა.

ზაზა სიამაშვილი: მოხსენით ლიფტი ბაბრატის ტაძარს!

მახინჯისაგან სიმახინჯის მეტს რომ ვერაფერს მიიღებ, ფაქტია, მაგრამ ჩვენ უნდა ვინედეთ სათანადო პრინციპულობას ისტორიული ძეგლებისადმი ვანდალური ჩარევების „შემოქმედო“ წინააღმდეგ.

ლექტორი ზაზა სიამაშვილი გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში რესტავრირებულ ბაგრატის ტაძარზე საუბრობს და ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ მოხსნან ლიფტი, რომელიც რესტავრაციის შემდეგ მიაშენეს ტაძარს.

„აკროპოლისი არავის უნახავს? ვინმეს აზრად მოსვლია მისი ხელახლა აშენება და, რაც მთავარია, ლიფტის მიშენება? სახელმწიფოს მინდა მივმართო: მოხსენით ლიფტი ბაგრატის ტაძარს! რა უდგას ამას წინ? მხოლოდ სახელმწიფოებრივი ნებაა საჭირო! მაშინ რომ საპატრიარქო დიდი პროტესტით გამოვიდა, დღეს რატომ დუმს? 4 წელია გასული, რაც სააკაშვილი აღარაა, თავის დროზე რომ ხმაღამოდებულე იყვნენ, დღეს რატომ გაჩუმდნენ? სამართლიანობის აღდგენაზე რომ ვლაპარაკობთ, ესეც სამართლიანობის აღდგენაა, ოღონდ კულტურის სფეროში და დროა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ!“ – აცხადებს ზაზა სიამაშვილი.

ასევე, იქნებ დროა, რომ ქალაქ თბილისის მერიამ აიღოს დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილზე წამოყვანილი ორსაქიანი ველოსიპედი – სააკიანცის აშკარა ავადმყოფური შთაბეჭდილების პროდუქტი და, ასევე, ძველი სახელი დაუბრუნოს ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუციის“ სახელობის მოედანი.



კატასტროფული ვითარება საბრანსპორტო სფეროში

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით

დღეს მძღოლებზე მოგვიწვევს საუბარი. საინტერესოა, კონკრეტულად, როგორ ირღვევა მათი უფლებები?! ამასთან დაკავშირებით **“ფრიდრის ებერტის ფონდის”** მხარდაჭერით კვლევა ჩატარდა: ინტერესის სფერო იყო, სწორედ ის, რამდენად დაცულია მძღოლის უფლებები. მსგავსი კვლევა საქართველოში, როგორც ამბობენ, არასდროს განხორციელებულა. ეს საკითხი პირველად ტრანსპორტისა და გზების ასოციაციამ შეისწავლა...

ჟურნალისტი აღნიშნული ასოციაციის პრეზიდენტს დავით მესხიშვილს ესაუბრა:

– მძიმე ეკონომიური პირობების ფონზე ბევრს სურს, გახდეს მძღოლი, მაგრამ მათგან ვინ არის პროფესიონალი (გულისხმობ ადამიანებს, რომლებიც ამ პროფესიით ოჯახს არჩენენ) და ვინ მოყვარული, ამის გარჩევა ძალიან ჭირს. ფაქტია, რომ ხალხის უმრავლესობა ცდილობს ფინანსები იშოვოს. გამოვიკითხეთ მძღოლები, რომლებსაც მგზავრები გადაჰყავთ (მიკროავტობუსების, ავტობუსების, მეტროს მემანქანეები).

– კვლევისას მთავარი რა იყო?

– მაგალითად, შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი): 2 ვერსია იყო, ერთი, როდესაც მათ არ იცინა კონტრაქტის შინაარსი, დოკუმენტზე ხელი ბრძანდებოდა აქვთ მოწერილი და კომპანიაც დიდად არ დაინტერესებულა, მათთვის კონტრაქტის შინაარსი გაეცნო;

მეორე – კონტრაქტის შინაარსი იცინა, მაგრამ იძულებული იყვნენ არიან, ხელი მოაწერონ, რადგანაც სხვა სამსახური არ არსებობს, თუმცა ეს პირობები არის სრულიად კაბალური. მაგალითად, იყო ტაქსოკომპანიები, რომლებიც მძღოლებს ეუბნებოდნენ, რომ ავტომობილი ჩვენია, აქ 4 წელი თუ იმსახურებ და ყოველდღე 50 ლარს შემოიტან, მანქანას შენზე გადავფორმებთო. ასეთმა კომპანიებმა სამი წლის და 8 თვის შემდეგ ადამიანები სამსახურიდან გაუშვეს. მძღოლებმა სასამართლო პროცესი ვერ მოიგეს.

– ასეთ დროს პასუხისმგებლობა კომპანიას არ ეკისრება?

– ხელშეკრულება გარკვეული ხრიკებით

არის მომზადებული, რომელსაც მძღოლი გულდასმით არ ეცნობა და ხელს ისე აწერს. ამით კომპანიები სარგებლობენ და მძღოლები ზარალდებიან.

შემდეგი საკითხი იყო, – თბილისის მიკროავტობუსები: მძღოლებს კომპანიასთან არ აქვთ დალაგებული ურთიერთობა და შესაბამისად აქვთ მუდმივი შიში, რომ შესატან თანხას გაუზრდიან. რის ფონზეც არსებობს რისკი, რომ მიკროავტობუსით მგზავრობა ქალაქში გაძვირდეს. ამასთან, მიკროავტობუსების ასაკმაც მოიმატა, უფრო ხშირად სჭირდებათ რემონტი, რის ხარჯებსაც თავად მძღოლი სწევს. რაც უფრო ძველია, უფრო ხშირად უწევს თანხის გადახდა. ამიტომ მძღოლები დიდი წინეხის ქვეშ არიან, შემოსავალი უმცირდებათ.

– ალბათ ამიტომაც არის მიკროავტობუსებში ის ქალის და გაუგებრობა, რაზეც მგზავრები მუდმივად წუწუნებენ.

– მოხდა ასეთი რამ: 101 მიკროავტობუსის მძღოლებმა მანქანები თვითნებურად გაზხე გადაიყვანეს, რაც ფოტოგრაფიაშია: ამასთან, არის გაწვდილი რეისები, რომელიც მთელ ქალაქს წრეს არტყამს, რითაც მგზავრების ზენორმირებული გადაყვანა ხდება (რომ მძღოლს რაც შეიძლება მეტი თანხა დარჩეს), რადგანაც მისმა ხარჯმა მოიმატა...

– იმ 101 სამარშრუტო მძღოლების თვითნებობას რა მოჰყვა?

– თბილისის მერიამ ისინი დააჯარიმა, მაგრამ ეს სიტუაციას არ ასწორებს... მიკროავტობუსებში ნახვამ მგზავრებთან, ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაცია, – ამ თემაზე მძღოლები მწვავედ საუბრობენ.

საქალაქთაშორისო ტრანსპორტში სრული კატასტროფაა. მაგალითად, თუ მანქანა თბილისიდან ქუთაისში მიდის, იქ მძღოლის უფლებებზე საერთოდ არ არის ლაპარაკი, – მას სადგურებზე მოსახვედრებელი ოთახი სჭირდება, საშპაზე, რომ მოწესრიგდეს, სასმელი წყალი, ავტობუსიც უნდა გაირეცხოს, – თან, ეს ყველაფერი კანონით უნდა იყოს დარეგულირებული, მაგრამ ჩვენთან ყველა საერთაშორისო სტანდარტი დარღვეულია...

– რა ვითარებაა უშუალოდ სადგურებზე?

– იქ ორი პრობლემა გამოიკვეთა: ერთი, მძღოლებს არ აქვთ დასვენების, შხაპის მიღების საშუალება, სასმელი წყალიც არ აქვთ და მეორე, ამის ფონზე ვიდებთ ე.წ. (მტაცებელ) მძღოლებს, როცა ერთი ნაწილი მეორე ნაწილის უფლებებს არღვევს.

– როგორ და ვინ არიან ეს მტაცებელი მძღოლები?

– რომლებსაც **“B”** კატეგორიის მართვის მოწმობით (წყველებრივი მართვის მოწმობა) გადაჰყავთ მგზავრები ისე, რომ მგზავრის გადაყვანის არანაირი უნარ-ჩვევა არ აქვთ. არადა, ეკრძალებათ 8 და მეტი მგზავრის გადაყვანა, მაგრამ ამას კლიენტების აყვანის მიზნით აკეთებენ (თან, **“D”** კატეგორია არ აქვთ), ხდება გზაზე გადასწვრება, რასაც იმ სტანდარტების დაღვევამდე მიყვავართ, საგზაო უსაფრთხოება რომ ჰქვია.

დღეს საქართველოში 110.000 საბრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ტექნოლოგიურებს, მაგრამ ამ ტექნოლოგიურებს გადის მხოლოდ 30.000. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ პროცედურის გავლის გარეშე, გზაზე არის უამრავი საბრანსპორტო საშუალება, რომელთაც მგზავრები გადაჰყავს...

– მეტროს მემანქანეებთან რა პრობლემაა?

– მემანქანეებმა სამედიცინო დაზღვევის გაუმჯობესება მოითხოვეს. მათი სიტყვებიდან გამომდინარე, დაზღვევა, რაც აქვთ, არის მათხოვრული, არადა, განსაკუთრებული პირობებში უწევთ მუშაობა, მიწის ქვეშ წლებით არიან... ამიტომ ჯანდაცვის სამინისტროსგან საპენსიო ასაკის დაწვევაც მოითხოვენ... ელემენტარულად, არ აქვთ დამის გასათევი ადგილები.

– ამ ყველაფრის ფონზე, რა რეკომენდაციების გაცემა შეგიძლიათ?

– მაგალითად, იმისთვის, რომ უკანონო ავტოსადგურები აღიკვეთოს, მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ეკონომიკის სამინისტროს აქვს ბერკეტები, შეისწავლოს, – სად არის ეს უკანონო სადგურები და ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს

მიაწოდოს. ასალაგში არიან ე.წ. მტაცებლები, რომლებიც გზებზე სიცოცხლის საფრთხეს ქმნიან. შს-ს ვთხოვეთ, მათი გადაადგილება ადკვეთოს, რადგანაც ისინი მგზავრთა არასწორ გადაყვანას ახდენენ, თუნდაც მაშინ, როდესაც სატრანსპორტო საშუალებაში 12 ადგილია და სალონში 24 მგზავრი ზის. ვიმეორებ, ეს უსაფრთხოების სტანდარტის უხეში დარღვევაა...

– ეკონომიკის სამინისტროს მიმართ კიდევ რა რეკომენდაციები გაქვთ?

– სადგურებზე მოითხოვოს სტანდარტების დაცვა, ამისთვის უნდა შეიქმნას მძღოლის მოსახვედრელი პირობები, – შხაპი, სასმელი წყალი... რეალურად ჩატარდეს ტექნოლოგიურები, მოუწოდებთ, რომ რეისის წინ მძღოლების სამედიცინო შემოწმება რეალურად ამოქმედდეს, – მას ახლა ფორმალური ხასიათი აქვს.

მოუწოდებთ ეკონომიკის სამინისტროს, რომ ეს საკითხები დახეწოს და ასევე შეასრულოს ევროდირექტივა, ეს ჩამწერ-მაკონტროლებელი სისტემის მოწყობას ესება. მოწყობილობა ავტომობილში მაგრდება, რითაც ხდება იმის აღწერვა, თუ მძღოლმა რამდენი ხანი დაისვენა, რა სინქარით იარა.

ასევე ურადსაღებია ისიც, რომ ჩვენი მიკროავტობუსების დიდი ნაწილი სატვირთოა, რომლებიც სამგზავროდ არის გადაკეთებული, რადგანაც სატვირთოს შექმნა იაფი ჯდება. ისე, რომ ზოგიერთს, ფანჯრებიც კი არ აქვს, დარღვეულია სავარძლებისა და სალონის მოწყობის სტანდარტი და ა.შ.

ასევე მოითხოვთ: იქ, სადაც მიკროავტობუსების ბოლო განერგებია, სველი წერტილები გააკეთდეს, რადგანაც არსად ეს არ არის და მძღოლებს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვადასხვა ადგილას უწევთ...

საბოლოო ჯამში კი, მთავრობას მივმართავთ, – საქართველოს ხელისუფლებაში განისაზღვროს ტანსპორტზე პასუხისმგებელი ერთი უწყება, რადგანაც დღეს ტრანსპორტზე მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ინფრასტრუქტურის, ეკონომიკის სამინისტროები და მუნიციპალიტეტი...

ლალი ფაცია

ვინ ღობირებს ხალხის ღლევის ბიზნესს?!



მას შემდეგ, რაც **“პალიტრამედიაში”** უარი თქვა ონლაინკაზინოებისა და ბეთების რეკლამირებაზე და წამოიწყო სოციალური კამპანია **“არ ითამაშო – იცხოვრე”**, ყოველდღიურად ვრწმუნდებით, რომ ეს სწორი და აუცილებელი გადაწყვეტილება იყო.

მკითხველები, მსმენელები თუ მაყურებლები წერილებში, სატელეფონო ზარების თუ მედიასახლში პირადი ვიზიტისას ონლაინკაზინოებით გაუბეზრებულ თავიანთ ოჯახის წევრებზე თუ მეგობრებზე ისეთ ამბებს ჰყვებიან, რომ ზოგჯერ ფიქრობ, ნუთუ შეიძლება, ადამიანი ასე დაეცეს? სამწუხაროდ, ეს რეალობაა. ასევე, ფაქტია, ის ტრაგიკული შემთხვევები, რაც გაგვიშუქებია თამაშდამოკიდებულ ადამიანებთან დაკავშირებით, მხოლოდ ზღვაში წვეთია. თუმცა იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს სოციალურ კამპანიას მისი დაწვების პირველივე დღიდან შედეგი აქვს. თუნდაც ჩვენს მედიასაშუალებებში რეკლამის აკრძალვის შედეგად – **“პალიტრამედიაში”** იმხელა აუდიტორიას მოიცავს, რომ წარმოიდგინეთ, ასიათასობით მკითხველს,

მსმენელს თუ ტელემაყურებელს (მათ შორის არასრულწლოვნებს) არ ექმნება ცრუსარეკლამო ილუზია, რომ **“წავიდეს, ითამაშოს და უცბად გამდიდრდეს”**. რა თქმა უნდა, ჩვენმა მედიაპოლიტიკამ შეგნებულად თქვა უარი საკმაოდ სოლიდურ შემოსავალზე, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რომ თუნდაც ერთი ოჯახი გადაგვერჩინა გადატაკებისა და გაუბედურებისგან.

თავისთავად, ონლაინკაზინოებისა და ონლაინბეთების მეპატრონეებსა თუ წარმომადგენლებს არ მოსწონთ, რომ ხელი აღარ მიუწვდებათ **“პალიტრამედიის”** აუდიტორიაზე. მათ აღიზიანებთ სოციალური კამპანია **“არ ითამაშო – იცხოვრე”**. თუმცა ყველაზე მეტად აი, რისი ეშინათ: – ემანდ, კამპანიამ მიზანს არ მიაღწიოს და საკანონმდებლო დონეზე არ დაწესდეს შემზღვევა რეგულაციები ონლაინკაზინოებსა თუ ბეთებზე, ვაითუ, ვეღარ ითამაშონ არასრულწლოვნებმა, რაც მათი ძირითადი სამიზნე ჯგუფია და ზოგადად, შეიქმნას ბარიერი თამაშდამოკიდებულების ჩიხისკენ მიმავალ გზაზე. სწორედ ეს არის მათთვის მთავარი პრობლემა – რეგულაციების დაწესებით ონლაინკაზინოები და ბეთები რისკგუფებში მყოფ მოქალაქეებს თამაშში მიდღონებს ვეღარ მოუგებენ და ვეღარ გალღებენ.

ამ გაღიზიანებისა და შფოთვის სადემონსტრაციოდ სულ პატარა მაგალითს მოვიყვანთ. აგერ, ერთ-ერთი ონლაინტელევიზორი **“ვეროპაბუთის”** თანამშრომელმა, ვინმე ლაშა გოგუამ, **“ფეისბუქში”** დაწერა: **“სანამ ამ ქვეყანაში იარსებებს “პალიტრამედია”, ინტერნეტის ქართული ბაზარი არ განვითარდება. ცაცხადებ როგორც ერთ-ერთი იმ კომპანიის მარკეტინგის დირექტორი, რომელსაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი**

დიჯიტალ ბიზნესი აქვს... ისე გამახსენდა, უბრალოდ”

ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ამ კონკრეტულ ონლაინბეთს შეექმნა ის პრობლემა, რომ ინტერნეტრეკლამისგან შესაბამისი ფექტს ვეღარ იღებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ონლაინკაზინო-ბეთებისთვის **“პალიტრამედიის”** მედიასაშუალებები აკრძალული ზონაა. ჰოდა, ამით გაღიზიანებულ ვაჟბატონს ისე გაახსენდა, უბრალოდ“(!).

ჩვენ ხომ ვიცით, სინამდვილეში, რა აშფოთებთ ონლაინკაზინოების წარმომადგენლებს. ძალიან კარგი, თუ ინტერნეტრეკლამა მათთვის ეფექტიანი აღარ არის და სწორედ ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი მიზანი. ზოგადად კი, რაც უფრო შეუმცირდებათ სარეკლამო ბიზნესი, მით უკეთესი. თორემ აგერ გადაუხდი ფულს ინტერნეტში ისეთ საიტს, რომელსაც, შესაძლოა, მაღალი რეიტინგი არც აქვს, მაგრამ ძირითადი აუდიტორია ახალგაზრდულია, ან რომელიმე დიდ ტელევიზიას, ან სულაც საზოგადოებრივ (ხაზს ვუსვამ – საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც მოსახლეობის ფულით ფინანსდება და წესით, სწორედ საზოგადოებრივ პრობლემებზე უნდა იყოს ორიენტირებული) და ჩავისვამს ონლაინკაზინოს რეკლამას, მაგალითად, საქართველოს ნაკრების თამაშის ტრანსლაციისას, ანუ იმ დროს, როდესაც ტელევიზორს ყველაზე მეტი არასრულწლოვანი და ახალგაზრდა უყურებს. ვის-ვის და, საზოგადოებრივი არხის მესვეურებს მეტი პასუხისმგებლობა მართებთ ასეთი გადაწყვეტილებისას – იმის გამო, რომ ფული შეუვიდეთ ტელევიზიაში (თუნდაც დიდი), არა მგონია, ამ ზნეობრივ კომპრომისზე წასვლა ღირდეს.

კოლეგებო, ჟურნალისტებო, ჩვენი მთავარი მისია ხომ უკეთესი სახელმწიფოს შექმნაში მონაწილეობაა! იქნებ ღირდეს, დაეღაპარაკოთ თქვენს ხელმძღვანელებს და უარი თქვათ ამ სახის სარეკლამო შემოსავალზე?! რა თქმა უნდა, არა გვაქვს ილუზია, რომ ამის შემდეგ აღარავინ ითამაშებს, მაგრამ მასობრივად ხალხის გაღლეებასა და ახალგაზრდების ცდუნებაში ხელს არ შევეწყობთ ონლაინტელევიზორებს.

ონლაინკაზინოების წარმომადგენლებმა კი რა სტატუსებიც უნდა გამოაცხონ, სოციალური კამპანია **“არ ითამაშო – იცხოვრე”** გაგრძელდება და უფრო დიდ და ფართო მასშტაბს შეიძინებს. თუმცა, მხოლოდ სოციალური კამპანია პრობლემას ვერ მოაგვარებს. ჰოდა, ამას კი ვწერთ ხელისუფლების საყურადღებოდ:

სისხლის სამართლის კოდექსში არის ასეთი მუხლი – დანაშაულის შეუტყობინებლობა, ანუ როცა ადამიანი იცის, რომ დანაშაული ხდება ან მოხდა და დუმს. სხვათა შორის, დანაშაულის შეუტყობინებლობიდან ერთი ნაბიჯია უფრო მძიმე მუხლამდე – თანამონაწილეობა. ახალ საპარლამენტო უმრავლესობაში ბევრი იურისტი და კარგად დაფიქრდენ ამ სე.

რატომ? იმიტომ, რომ ველოდებით, ახალარჩეული პარლამენტი ერთ-ერთ პირველ სდომამზე განიხილავს თუ არა საკითხს ონლაინკაზინოებისა და ონლაინბეთებისთვის შემზღვევა რეგულაციების დაწესების შესახებ. თუ მრავლისმეტყველი დემოკრატიული გაგრძელდა, მაშინ უკვე საზოგადოებასთან ერთად მწვავედ დავსვამთ კითხვას: გვაქვს თუ არა საქმე თანამონაწილეობასთან?!

მართლაც პირველი! – ენდი მარეი წლის უმაჯამებელი ტურნირი მოიგო



ქულა აიღო, ახლოს იყო მეორე ბრეიკთან, მაგრამ ტაი-ბრეიკის თამაში თავიდან ვერ აიცილა. იქ ბრიტანელმა სამქულიანი უპირატესობა მიიღო, რაონინმა შექმლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ 5:5-ზე ზედიზედ ორი ქულა წააგო და სეტებში ანგარიში გათანაბრდა.

ორი საათის გასვლის შემდეგ, რაონინი ფიზიკურად უკეთ გამოიყურებოდა და მესამე სეტი უკეთაც დაიწყო. მას ბრეიკ-პოინტებიც ჰქონდა, მაგრამ მარეი მნიშვნელოვან ბურთებზე კარგად თამაშობდა. შემდეგ სიტუაცია შეიცვალა – 4:4-ზე და 5:5-ზე ენდიმ ზედიზედ ორი ბრეიკი აიღო და ორჯერ შექმლო მატჩზე ჩაწოდება, მაგრამ ორივე შანსი გაანია. ასე რომ, ჩოგბურთელებს ზედიზედ მეორე ტაი-ბრეიკის თამაში მოუწია.

მე-13 გეიმში ამ ბრწყინვალე მატჩის მშვენიერად აღმოჩნდა. მარეი ფლობდა უპირატესობას, მაგრამ ზედიზედ სამი მატჩბოლი ვერ გამოიყენა, შემდეგ პირველი მატჩბოლი ჰქონდა რაონინს და ვერც მან გამოიყენა შანსი, რადგან ენდი კარგად გავიდა ბადესთან. ამას მოჰყვა ბრიტანელის მეოთხე მატჩბოლი და მარათონული მატჩის (3 საათი და 37 წუთი) და ტაი-ბრეიკის (11:9) დასასრული – 5:7, 7:6(5), 7:6(9).

მეორე ნახევარფინალი სრულიად განსხვავებული გამოვიდა. ნოვაკ ჯოკოვიჩმა რთული ორი შეხვედრა ჩაატარა ტურნირის სტარტზე, მაგრამ შემდეგ მოუმატა თამაშს. ჯოკოვიჩი ეტაპის მესამე ტურში, სერბმა მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო დავიდ გოფენს, ნახევარფინალში კი უფრო ცოტა – ორი გეიმი გაიმეტა კეი ნიშოკორისთვის. იაპონელი ჯოკოვიჩისთვის ყოველთვის მოხერხებული მეტოქე იყო. მართალია, კეის ორჯერ ჰყავს დამარცხებული სერბი,

მაგრამ ზედიზედ ცხრა შეხვედრა ნოვაკს ჰქონდა მოგებული. თუმცა, ასეთ განადგურებას არავინ ელოდა. ნიშოკორი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, მეორე მოწოდებაზე ქულების მხოლოდ 20 პროცენტი მოიგო და ერთადერთი საკუთარი გეიმი აიღო. ნოვაკი უფრო აქტიური იყო, აკონტროლებდა თამაშს, ხშირად გადიოდა წინ და ბადესთან ერთი შეცდომაც არ დაუშვია – 6:1, 6:1.

ასე რომ, ფინალში ერთმანეთს უნდა შეხვედროდა დღეისთვის მსოფლიოს ორი საუკეთესო ჩოგბურთელი. თანაც, ამ მატჩში უნდა გათამაშებულიყო არა მხოლოდ ტიტული, არამედ, კლასიფიკაციაში პირველი ადგილი. პირველად, ATP-ის ისტორიაში, სეზონის დასკვნით მატჩში ირკვევდა საუკეთესო ჩოგბურთელის ვინაობა.

ფინალის წინ, საკმაოდ რთული იყო პროგნოზის გაკეთება. სეზონის მეორე ნახევარი მარეიმ ფანტასტიკურად ჩაატარა და ფინალურ შეხვედრას 23-მატჩიანი (!) მოგებათა სერიით შეხვდა, ჯოკოვიჩის კი როლან გაროსის შემდეგ, არც ერთ ტურნირში არ მოუგია. მაგრამ ლონდონში სერბმა აშკარად მოუმატა, მარეის კი ორი სამსაათნახევრიანი მატჩის ჩატარება მოუწია და გამორიცხული არ იყო, რომ ფინალში ფიზიკურ დაღლილობას ემოქმედებოდა.

მარეი პირველად თამაშობდა წლის უმაჯამებელი ტურნირის ფინალში, ჯოკოვიჩი კი ბოლო ოთხი გათამაშების ჩემპიონი იყო.

ჩოგბურთელები წელს მეხუთედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჯოკოვიჩმა ოთხიდან სამი მოიგო, მარეიმ კი ერთადერთხელ დაამარცხა სერბი – გაზაფხულზე, რომის “მასტერსის” ფინალში. მაშინ, კლასიფიკაციაში სხვაობა ნოვაკსა და ენდის შორის 9025 ქულა იყო და იმ დროს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სეზონის ბოლოს, ბრიტანელი ლიდერობას ჩამოართმევდა სერბს.

მაგრამ, მისიდან მოყოლებული, მარეიმ 69 მატჩიდან 64 მოიგო და 13 ტურნირიდან 12-ის ფინალში ითამაშა.

არ გამართლდა მოლოდინი იმის შესახებ, რომ მარეის ფიზიკურად გაუჭირდებოდა. ენდიმ უმაღლეს დონეზე ჩაატარა პირველი სეტი. თანაბარი დასაწყისის შემდეგ, პირველი ბრეიკ-პოინტები მეექვსე გეიმში გამოიმუშავა, თუმცა ჯოკოვიჩმა ორივე საფრთხე მოიგვარა. სერბი მინც ვერ გადაურჩა საკუთარი მოწოდების წაგებას – მეექვსე გეიმში მარეიმ შეძლო რიგით მესამე ბრეიკ-პოინტის გამოყენება, რის შემდეგაც, სეტზე ჩაწოდება მოახერხა. ამ პარტიაში ნოვაკს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია.

ენდი თითქოს გრძობდა, რომ სამსეტთან მატჩში, შესაძლოა, ძალები აღარ ჰყოფნოდა, ამიტომაც, მაქსიმალურად ცდილობდა საქმის ორ სეტში მომთავრებას. მეორე პარტიის პირველივე გეიმში მისი მორიგი ბრეიკი შედგა, მეხუთე გეიმში კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება და ანგარიში გახდა – 4:1. ტიტული თითქმის განადგებულ იყო, თუმცა ჯოკოვიჩმა მომდევნო გეიმში, მატჩში თავისი ერთადერთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და ოდნავ დაძაბა სიტუაცია. მაგრამ მარეიმ მეორედ საკუთარი მოწოდების წაგება არ დაუშვა, მეათე გეიმში მატჩზე ჩაწოდებისას ორი მატჩბოლი ვერ გამოიყენა, მაგრამ მესამე ცდაზე დაამთავრა ყველაფერი. ბრიტანელმა კარიერაში პირველად მოიგო წლის უმაჯამებელი ტურნირი და პირველად ასრულებს სეზონის კლასიფიკაციის ლიდერის რანგში.

1/2 ფინალი ენდი მარეი (ბრიტ, 1)-მილოშ რაონინი (კან, 4) 5:7, 7:6(5), 7:6(9).

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)-კეი ნიშოკორი (იაპ, 5) 6:1, 6:1.

ფინალი ენდი მარეი (ბრიტ, 1)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2) 6:3, 6:4

ბაიციანი 10 წლის მარიაგმა საქართველოს საგანგებო “ვეროვიზია” მოაგებინა!

2016 წლის საბავშვო “ვეროვიზიის” კონკურსის გამარჯვებული ქართველი შემსრულებელი, 10 წლის მარიაგმა მადამილი გახდა! უნიტიერესმა გოგონამ კონკურსზე სიმღერა “მზეო” შეასრულა და 17 ქვეყნის წარმომადგენელს აჯობა.

მარიაგმა თბილისის წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლაში სწავლობს. თანაკლასელები და პედაგოგები მას განსაკუთრებულად გულშემატკივრობდნენ და ხელს უწყობდნენ.

“5 წლის ვიყავი, როცა ერთ-ერთი სიმღერა ვისწავლე. დეიამ ვიდევ გადამიღო. მერე, “ბასტი-ბუბუს” სტუდიის წარმომადგენელმა ვიდევ ნახა და გვითხრა: ბავშვი ჩვენთან მოიყვანეთ და აქ ისწავლოს... შემდეგ “ბიკების” სტუდიაში გადავედი. იქ 4 წელი ვისწავლე. მერე ამერიკაში გავემგზავრე.

– ამერიკაში რატომ გაემგზავრე?

– აქ ცეკვას, ვოკალს, სამსახიობო ოსტატობას ვეუფლები, მუსიკალურად ვვითარდები... კონცერტებში ვმონაწილეობ...

– საქართველოში სპეციალურად საბავშვო “ვეროვიზიისთვის” დაბრუნდი?

– დიახ, მანამდე “ბიკების” სტუდიიდან დამირეკეს – სიმღერა – “მზეო” ჩემმა პროდიუსერმა –

ბატონმა გიგა კუხიანიძემ დამიწერა. – ამერიკაში, სკოლაშიც ხომ დადიხარ?

– დიახ. Tomlinson Middle School-ში, მეექვსე კლასში ვარ. საქართველოში, წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლაში დადივარ.

– წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლაში სწავლა რატომ გადაწყვიტე?

– იმიტომ, რომ ჩემი პროდიუსერის – გიგა კუხიანიძის შვილი აქ სწავლობს და გიგაც აქვე ახლოს ცხოვრობს. გაკვეთილების მერე, მასთან მივდივარ და ვმეცადინებო. ამ სკოლაში ბევრი მეგობარი შევიძინე. ისინი ძალიან მიყვარს. მასწავლებლებიც ძალიან მომწონს – სასწავლო პროცესში სითულებების დაძლევაში გვეხმარებიან. ამ სკოლაში ძალიან მეგობრული გარემოა. ჩემს თანაკლასელებს ძალიან გაუხარდათ, როცა შეიტყვეს, რომ საბავშვო “ვეროვიზიაზე” გაემარჯვე. ჩემი წარმატება გაიხიარეს, მგულშემატკივრობენ...

– მისი, გუშინ თავს იკლავდი და დღეს რა მოგივიდა?

– წუხელ, კაცო, მთელი დამე ვიფიქრე და მიფხვდი, მარო არც დღით იყო ჩემი ნათესავი და არც მამით, ნეტავ რა თავს ვიკლავ-მეთქი!

– მარო მოლოდინულად მივლინებიდან დამით დაბრუნდა. ჩამოიღო კარი ბრახუნით, მაგრამ არავინ უღებს. ამ დროს მეზობლის კარი იღება, გამოდის მოხუცი ქალი და ეუბნება:

– მერე ვერ გაიგონებენ, შვილო, რქებით დაუკაკუნე, რქებით!!!

საბავშვო ბაღში პატარები ტრახხობენ:

– ჩემს დედას ორნი ვყავართ და ორივეს ცალცალკე ოთახები გვაქვს... – ჩემს დედას სამი ვყავართ და ყველას ცალცალკე ველოსიპედები მაქვს.

– ჩემს დედას კი შვილნი ვყავართ და ყველას ცალცალკე მამები გვაყავს.



ბიბა ბოკერია – უმრავლესობამ გადაწყვიტა “პატრიოტთა ალიანსს” დაუთმოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა

როგორც ჩანს, უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ “პატრიოტთა ალიანსს” დაუთმოს ეს თანამდებობა პარლამენტში, – ამის შესახებ “ნაციონალური მოძრაობის” წევრმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომელმაც აღნიშნა, რომ “პატრიოტთა ალიანსის” წევრის ნატო ჩხეიძის არჩევა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე უმრავლესობას წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი.

“პერსონალური საკითხი არ იყო ნატო ჩხეიძის არჩევა-არარჩევა. უბრალოდ, უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ “პატრიოტთა ალიანსს” დაუთმოს ეს თანამდებობა. რომ გითხრათ, რომ ეს არსებითად ცვლის რაიმეს პარლამენტში, ასე არ არის, მაგრამ გარკვევით უნდა თქვან და არ უნდა ერიდებოდეთ პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებას, რომ “პატრიოტთა ალიანსი” არის მათი მხარდამჭერი ამ კომიტეტში. ყველაზე დიდი ტვირთიც სწორედ იურიდიულ კომიტეტზე მოვა პარლამენტში”, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

იუმორი

მისოს ცოლი მოუკვდა. საწყალი კაცი თავს იკლავდა, ჩემი მარო აღარ არის ამ ქვეყანაზე. მეორე დღეს გავიდა სანდიდან და მთელი დღე აღარ გამოჩენილა. მეზობლებმა იფიქრეს, თავს ხომ არაფერი აუტყვნია. საღამოს მისო მთვრალი დაბრუნდა სახლში სიმღერ-სიმღერით. მეზობლებმა ჰკითხეს: – მისო, გუშინ თავს იკლავდი და დღეს რა მოგივიდა? – წუხელ, კაცო, მთელი დამე ვიფიქრე და მიფხვდი, მარო არც დღით იყო ჩემი ნათესავი და არც მამით, ნეტავ რა თავს ვიკლავ-მეთქი!

ქმარი მოლოდინულად მივლინებიდან დამით დაბრუნდა. ჩამოიღო კარი ბრახუნით, მაგრამ არავინ უღებს. ამ დროს მეზობლის კარი იღება, გამოდის მოხუცი ქალი და ეუბნება:

– მერე ვერ გაიგონებენ, შვილო, რქებით დაუკაკუნე, რქებით!!!

საბავშვო ბაღში პატარები ტრახხობენ:

– ჩემს დედას ორნი ვყავართ და ორივეს ცალცალკე ოთახები გვაქვს... – ჩემს დედას სამი ვყავართ და ყველას ცალცალკე ველოსიპედები მაქვს.

– ჩემს დედას კი შვილნი ვყავართ და ყველას ცალცალკე მამები გვაყავს.

Advertisement for 'Bachchanuli' (ბაჩჩანული) featuring a woman and text about a competition or event. The text includes 'გარდაცვლილი სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მკლავის ნაყოფის უარსაყოფიანს, მის დაქირვას რომ სდილობდა.' and 'ლომინტი ბაჩჩანულის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათვისებთან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალებას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხსილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეუნანეს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქვენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიაში, (3-პე-პატიტს, ნადღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სასხრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.' It also lists contact information: 'აქლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო.' and 'კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე. ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48'.